საქართველო

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№108 (9788) 2024 წლის 20 სექტემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი

ბიძინა ივანიშვილი:

საქართველოში ომს და ბომბების წვიმას

არაფრის ფასად არ დავუშვებთ!

გუშინ „ქართულმა ოცნებამ“ მორიგი წინასაარჩევნო კამპანია რუსთავში გამართა.



ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვემო ქართლში მოვაწესრიგეთ და განვავითარეთ ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამებით, ავაღორძინეთ წინა ხელისუფლების დროს დაკნინებული სოფლის მეურნეობა, ჩვენს გლეხებსა და ფერმერებს მანამდე დაკეტილი ბაზრებისკენ გავუხსენით გზა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, რა მიმართულებითაც არაერთი ინვესტიცია სწორედ ქვემო ქართლში განხორციელდა. – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა რუსთავში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

სამუდამოდ ჩავაბარეთ წარსულს დრო, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აღიქვამდა და ისინი მხოლოდ არჩევნებზე ახსენდებოდა. დღეს სახელმწიფოს ამოსავალი წერტილი ადამიანია! საქართველოს თითოეული მოქალაქე, მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, თანასწორია და სრულად სარგებლობს ყველა იმ პრივილეგიით, რასაც სახელმწიფო მოქალაქეებს სთავაზობს.

რუსთაველები იმაშიც დაგვემოწმებიან, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თუნდაც მცირე ძალაუფლების ხელში ჩაგდება საბოტაჟს და ხალხისთვის გარდაუვალ ზიანს ნიშნავს. **დღეს ქალაქს ჰყავს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, პროფესიონალი მერი, გასაოცარი ახალგაზრდა ქალი ნინო ლაცაბიძე, რომელიც 24 საათის განმავლობაში რუსთავისა და რუსთაველების ინტერესზე ზრუნავს. ამის საპირწონედ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა რუსთავის საკრებულოში თანამდებობებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართეს. მეტიც, ისინი მუდმივ საბოტაჟს უწყობენ რუსთავის მოსახლეობას და ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელებას აფერხებენ. ეს მაგალითი ძალიან კარგად გვიჩვენებს, თუ რა კატასტროფა შეიძლება დატრიალდეს საქართველოში, შეუძლებელი რომ მოხდეს და კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნდეს.**

როგორც წარსულში, დღესაც, რადიკალური ოპოზიცია არა ქვეყნისა და ხალხის ინტერესების, არამედ გარედან მიღებული დავალებების შესაბამისად მოქმედებს. სწორედ ესაა მთავარი მიზეზი, რატომაც არ შეიძლება ძალაუფლებასთან ამ ხალხის გაკარება, სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ 26 ოქტომბერს არჩევანს ვაკეთებთ არა კარგსა და უკეთესს, არამედ ომსა და მშვიდობას, გარე ძალების აგენტებსა და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელ „ქართულ ოცნებას“ შორის. ჩვენ უცხო ძალებს არ მივცემთ ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის უფლებას, რადგან 26 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა აირჩევს არა უცხოურ აგენტურას, არამედ ეროვნული პოლიტიკის გამტარებელ პოლიტიკურ ძალას - „ქართულ ოცნებას“!

კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ მოქმედებს, არათუ ხელისუფლებას აღარ უნდა გავაკაროთ, არამედ უნდა დადგეს მათი არაკონსტიტუციურად გამოცხადებისა და უმკაცრესად გასამართლების საკითხი. ამ უსამშობლო ადამიანებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების წამებასა და მკვლელობაზე, ბიზნესის რეკეტზე, ქვეყანაში გამეფებულ კორუფციაზე და იმ ავტორიტარიზმზე, რომელშიც წლების განმავლობაში გვაცხოვრეს, არამედ, პირველ რიგში, უმძიმეს დანაშაულზე - დანაშაულზე, რომელსაც საქართველო მათ არასოდეს აპატიებს. სწორედ „ნაციონალური მოძრაობაა“ პასუხისმგებელი იმ უმძიმეს ტრაგედიაზე, რომელიც 2008 წელს დატრიალდა. გარე დავალების შესასრულებლად, მათ წამოიწყეს ომი, რომელიც 400-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლის, 30 ათასი ადამიანის დევნილობისა და დაკარგული ტერიტორიების ფასად დაგვიჯდა!

26 ოქტომბრის არჩევნებზე მისვლით და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, თქვენ იღებთ გარანტიას, რომ საქართველოს ომში ჩართვას ვეღარავინ შეძლებს, ხოლო ომის დამნაშავეები უმკაცრესად დაისჯებიან. დიახ, სწორედ „ქართული ოცნებაა“ ამის გარანტი, რადგან ჩვენ ვართ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე, წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასად, ქვეყანას 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა! მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით დღესაც უამრავი რისკი და გამოწვევა არსებობს, პირობას გაძლევთ, რომ პირადად მე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, საქართველოში ომს და ბომბების წვიმას არაფრის ფასად არ დავუშვებთ!..

19. 09. 2024.

მეცნიერება სოფელს

თვალსაჩინო მეცნიერი გოგოლა მარგველაშვილი

5

ქართველი ერის დემოგრაფიული პრობლემების დიდი ჭირისუფალი

7

თეიმურაზ ქორიძე:

მკითხველთან ბოდიში მაგრამ... ფურთხის ღირსი ხარ, ქვეყნის ოპოზიციავ!

3

...ჩემმა ძაღლმა მეზობლის ბავშვი რომ შეაშინოს, ამისთვის ბოდიში უნდა მოვიხადო მე და არა ჩემმა ძაღლმა.

მესმის, რომ ამის გაგება ძნელია ვაშაძის ან ნათელაშვილისთვის, მაგრამ არ მესმის, რატომ არის გაუგებარი რომან გოცირიძისნაირი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის. სწორედ მის გასაგონად ვამბობ — ბოდიში მომითხოვია და, მიმიფურთხებია იმ პოლიტიკისთვის, შენს პატივისმცემელ კაცს ამ სიტყვების თქმას რომ აიძულებს.

„დასანქცირებული“ პრემიერი ამერიკაში მიემგზავრება!

ბაიდენის ადმინისტრაციასთან სანქციების თემაც განიხილება

27 სექტემბერსაა დაგეგმილი. პრემიერი ნიუ იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაში მიიღებს მონაწილეობას.

გოლო დღეებში კიდევ უფრო გამწვავებული ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ფონზე, პრემიერი ირაკლი კობახიძე ამერიკაში მიემგზავრება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი 21-

კობახიძემ მედიასთან შეხვედრაზე დააანონსა, რომ პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია დაწესებული სანქციების თემაზე ექნება და ის ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს. ჯერჯერობით კონკრეტულად უცნობია, ვის შეხვდება პრემიერი.

„დარწმუნებული ვარ, ბაიდენი საქმის კურსშიც კი არ არის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით“, – ასე უპასუხა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტის კითხვას, ვის შეიძლება, აწყობდეს სანქციების დაწესება.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ბაიდენი

არ იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს, არსებობს ოლიგარქიული პრობლემები და ამ პრობლემების შედეგია ის უსამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება.

აღსანიშნავია, რომ გაეროში ოფიციალური ვიზიტის დროს 2023 წლის სექტემბერში ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის უშიშროების საბჭოს მაღალჩინოსანს სალივანს შეხვდა. მაშინ ითქვა, რომ სწორედ სალივანმა გადაწყვიტა საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება. ამისთვის 2024 წლის იანვარში ღარიბაშვილმა სალივანს მადლობა გადაუხადა.

ანალიტიკოსები **for.ge**-სთან ამბობენ, რომ **ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელმაც შესაძლოა დაძაბული ურთიერთობის განმუხტვაში მნიშვნელოვანი როლი შეიტანოს.**

მიხეილ დუნდუა: საქართველო კორუფციისგან თავისუფლებით, კორუფციის არარსებობით არის ევროპის საუკეთესო ოცეულში

„საქართველო გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში კორუფციისგან თავისუფლებით. კორუფციის არარსებობით არის ევროპის საუკეთესო ოცეულში და უსწრებს ევროკავშირის, ნატოს წევრ უამრავ ქვეყანას, მათ შორის დიდი შვიდეულის წევრ ქვეყნებს“, – ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, მიხეილ დუნდუამ განაცხადა.

მისივე თქმით, კეთილსინდისიერების მმართველობით საქართველო შეძლებს წლიდან წლამდე საუკეთესო შედეგების დადებას.

„საქართველო, თავისი კეთილსინდისიერების მმართველობით არის მიზიდულობის ცენტრი ბიზნესწრეებისთვის, რომ საქართველოში გააკეთონ ბიზნესი, შექმნან დოვლათი და კეთილდღეობა. ასე, რომ კეთილსინდისიერების მმართველობით საქართველო შეძლებს წლიდან წლამდე საუკეთესო შედეგების დადებას“, – დასძინა მიხეილ დუნდუამ.

თბილისი – ლონდონი, 2025 წლის 30 მარტიდან!

2025 წლიდან საქართველოს ავიაბაზარზე გაერთიანებული სამეფოს ფლაგმანი – „British Airways“ შემოდის.

ერთწლიანი ინტენსიური მოლაპარაკებები საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს ავიაკომპანიასთან წარმატებით დაასრულა.

შედეგად, ერთმანეთს პირდაპირი საჰაერო მარშრუტით დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს დედაქალაქები დაუკავშირდებიან.

2025 წლის 30 მარტიდან ლონდონი-თბილისი-ლონდონის მიმართულებით პირდაპირი რეგულარული ფრენები კვირაში 4-ჯერ შესრულდება. ბილეთების შეძენა ავიაკომპანიის ვებგვერდზე **www.ba.com** უკვე შესაძლებელია.

„**American Airlines**“-თან მჭიდრო პარტნიორობა საშუალებას იძლევა „**British Airways**“-ის მგზავრებმა ისარგებლონ ტრანზიტული ფრენებით, ლონდონის გავლით, შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქის მიმართულებით. „**British Airways**“-ი მსოფლიოს 65 ქვეყნის 190-ზე მეტი მიმართულებით დაფრინავს. ავიაკომპანიას მთავარი ბაზა ლონდონის ჰითროუს აეროპორტში მდებარეობს, რომელიც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული აეროპორტია.

ჩვენ ავირჩევთ სახელგაუტეხელ, საიმედო ადამიანებს!

თუ დავუკვირდებით დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას, ბევრ ძნელად ასახსნელ გაუგებრობებს აღმოვაჩენთ. ეს გაუგებრობები, სადაც არ უნდა იყოს იგი, რომელ კონტინენტზე, რომელ სახელმწიფოში, ადამიანთა აზროვნებიდან მომდინარეობს. ამ გაუგებრობების გამომწვევი მიზეზი კი არც ბუნება და ეკოლოგია, არც მიწა და არც ზეცა არ არის. კაცობრიობის ცივილიზაციამ მოიტანა იგი, ზოგი ჯანსაღ, ზოგი მახინჯ ფორმებში.

პოლიტოლოგია კარგა ხანია ცდილობს სახელმწიფო წყობილებების დამახასიათებელი თითოეული ცნება ახსნას, განმარტოს, ადამიანების გასაგებად დაალაგოს, მაგრამ თუ დღემდე სახელმძღვანელოებიდან, სხვადასხვა წერილობითი თუ საინფორმაციო წყაროებიდან ვიცოდით, რას ნიშნავს, მაგალითად, სიტყვა **დემოკრატია,** დღეს თავად ამ დემოკრატიის დამცველთა და პროპაგანდისტთა მხრიდან ამ სიტყვამ საგრძნობლად იცვალა ფერიც და შინაარსიც...

ასეთი ფიქრების უფლება გვაქვს ჩვენ საქართველოს საზოგადოების იმ ნაწილს, ევროპული დემოკრატიისაკენ სვლის მტკიცე სურვილი რომ გაგვჩენია და ამ დროს, თავად ევროპელი თუ ამერიკელი დემოკრატები სულ სხვაგვარად იქცევიან და გვექცევიან ჩვენ – ქართველებს. ჯერ ერთი, ჩვენდა გასაკვირად, ჩამოდიან ჯგუფები და ჩვენი ქვეყნის იმ რადიკალური ოპოზიციის კრებებსა და კონგრეს-ფესტივალებს ესწრებიან, რომელმაც (რადიკალურმა ოპოზიციამ) არეულ-დარეულობის, რევოლუციის მცდელობებისა და ზოგადად – მავნებლობის მეტი ვერაფერი შემატა ჩვენს ქვეყანას.

აი, ასეთ ჯგუფებთან დამეგობრებულები, მთავრობასაც კი ემუქრებიან, თუ ისე არ მოიქცევით როგორც ჩვენ გვსურს, თუ არჩევნებს გააყალბებთ, თუ ეგრეთ წოდებულ – „რუსულ კანონს“ პარლამენტიდან არ გაიწევთ, ევროკავშირის წევრობა დაივიწყეთო.

თქვენ წარმოიდგინეთ, სხვის ქვეყანაში ასე თამამები (რბილად რომ ვთქვათ), რასაც უნდა იმას ამბობენ, მთავრობის მოწინააღმდეგე დემონსტრანტების რიგებშიც დგებიან და ამ დროს დემოკრატობას უწუნებენ ჩვენს ხელისუფალთ! ერთი სიტყვით, მათი ქმედებები რადიკალური ოპოზიციის ქმედებებს ტყუპის ცალივით ჰგავს და უფრო უარესიც...

ახლა, ამიხსნას ვინმემ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რას ნიშნავს დემოკრატია? მოახლოებული არჩევნების წინ ყვავებივით რომ დაგვჩხავიან არჩევნების გაყალბების თაობაზე, რადიკალურ ოპოზიციას აყოლილი თავად ჩვენი უცხოელი მეგობრები, – ეს არის დემოკრატია? ეს ხომ საზოგადოებაში ეჭვების დანერგვაა! არც უცხო ქვეყნის რადიკალ ოპოზიციონერებთან მიკერძოებაა დემოკრატია. უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს ჩვენი მეგობარი ევროპელები.

როდესაც მათ საქციელს ვუკვირდები, როდესაც ვისმენთ მათ აშკარა და დაუფარავ მენტორულ და კიდევ უფრო მკაცრ, არა მხოლოდ დამოძღვრას, არამედ მუქარასაც კი ჩვენი მთავრობის მიმართ, მაგონდება ძველი საუკუნეების ფეოდალური ევროპა. ნუთუ შეიძლება დღემდე არსებობდნენ ფეოდალური მენტალობის ადამიანები (სენატორები, პოლიტიკოსები), რომლებიც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს პატარა ქვეყანას თავის მომავალ კოლონიად მოიაზრებდნენ?

ევროკავშირის წევრობა ქართველი კაცისთვის მისი ევროპელობის დადასტურებაა მსოფლიოში, თორემ დიდი ხანია, რაც ქართველს ეჭვი არ ეპარება საკუთარი მსოფლმხედველობის ევროპულობაში. ამის დამამტკიცებელია ქართული ხელოვნება, ქართული ლიტერატურა, ფილოსოფია და ბევრი სხვა მიმართულება. მეტიც – იგი მეტად ევროპული და ცივილიზებულია, თუ გავითვალისწინებთ აზიური კულტურის იმ საუკეთესო შტრიხებსაც, რომელიც ამდიდრებს და ამშვენებს ჩვენს კულტურას. ქართული ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები, უნარ-ჩვევები ადამიანურობის სილამაზისა და ხიბლის შემავსებელი ხელოვნების ნიმუშებია. საინტერესოა ქართული გმირობისა და ვაჟკაცობის ისტორია და იგი კიდევ უფრო საინტერესოა მისი გენდერული ბალანსით. შუშანიკი, თამარი, კრავაი ჯაყელი, ხვაშაქ ცოქალი, ქეთევან წამებული და სხვები და სხვები, ძველი საუკუნეებიდან დღემდე ალამაზებდნენ, ამდიდრებდნენ ქართულ ყოფას, ქართულ ისტორიას! მსგავსი რამ ძნელად მოიპოვება დღევანდელ წარმოჩენილ, ცივილიზებულ ქვეყნებში. ევროკავშირში შესვლა, ჩვენ, უმთავრესად გვინდა მათთან სოლიდარობისთვის, მათი თანადგომით იმ ევროპული წარმატებებისა და მატერიალური კეთილდღეობის გზების შესწავლისთვის, რომელსაც ევროპამ კარგა ხანია მიაღწია გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სხვა უპირატესობათა გამოისობით და არა რადიკალების მიერ გამოგონილი თხუთმეტი მილიარდისთვის. ჩენ ვიცით, რომ მილიარდები და მატერიალური კეთილდღეობა თავად უნდა მოვიპოვოთ საკუთარი ოფლისღვრითა და შრომით. აი ასე, ამ პრინციპებით ქართული სახელმწიფო ემზადება თქვენთან დამეგობრებას, ევროკავშირში ქართული სახით შემოსასვლელად. ჩვენ, ქართველებს დიდი იმედი გვაქვს თქვენი თანადგომის...

აი, სადაც არის დადგება არჩევნების დღე და დარწმუნებული ვართ, ქართველი ხალხი აირჩევს და ხელისუფლებაში მოიყვანს სახელგაუტეხელ, საიმედო, ადამიანებს, რომლებიც საქართველოს კეთილდღეობისა და აყვავებისთვის ხალხთან ერთად მუხლჩაუხრელ ბრძოლას!

გულნარა სტურუა

თეიმურაზ ქორიძე:

მკითხველთან ბოდიში მაგრამ... ფურთხის ღირსი ხარ, ქვეყნის ოპოზიციავ!

ყველა ჩემმა მეტ-ნაკლებად მოაზროვნე თანამემამულემ შესანიშნავად იცის, მაგრამ ნაცისტური ოპოზიციის გოლოდროინდელი ისტერიკა მაიძულებს, ბოდიშის მოხდით, კიდევ ერთხელ გავიმეორო ცნება „ბოდიშის“ მნიშვნელობა.

თუმცა, ნება მიბოძეთ, მანამდე შეგახსენოთ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მიერ 14 სექტემბერს გორში, ამომრჩევლების წინაშე წარმოთქმული სიტყვები, რასაც ეს ისტერიკა მოჰყვა: „26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ომის გამჩაღებლები გასამართლდებიან, როდესაც უკლებლივ ყველა დამნაშავე ქართულ-ოსური ძმობისა და თანაცხოვრების დანგრევისთვის უმკაცრეს სამართლებრივ პასუხს მიიღებს, ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვამცნობს, რომ „ბოდიში არის წუხილის გამოთქმა, პატიების თხოვნა თავისი შეუფერებელი საქციელისა თუ სიტყვის გამო“.

ბოდიშის მოხდა არ ნიშნავს რაიმე არსებული ან არარსებული დანაშაულის აღიარებას, შიშს, ან სილაჩრეს. პირიქით, ეს არის ვაჟკაცური, ღირსეული საქციელი და ემსახურება მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობების აღდგენას. როგორც სახარება გვასწავლის, „თუ შენ აწყენინე ძმას, მზად იყავი, ბოდიში მოუხადო და სთხოვო პატიება (მათე, 5. 23, 24)“. ბოდიში შეიძლება მოვიხადოთ მაშინაც კი, თუ ვფიქრობთ, რომ არაფერი დაგვიშავებია. ბოდიშის მოხდით ადამიანი აჩვენებს, რომ მისთვის მთავარი მშვიდობიანი ურთიერთობაა და არა თავის მართლება და სხვისი დადანაშაულება.

ბოდიში მხოლოდ ღირსეული ადამიანების უპირატესობაა. შესაბამისად, ჩადენილი ბოროტების, თუნდაც, ოჯახში აღზრდილი ადამიანისთვის შეუფერებელი საქციელის გამო, მშობელი ხალხის წინაშე ბოდიშის მოხდას ვერ გაბედავს ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი, ვერც ნაპროკურორალი გვარამია, ვერც ნამერალი ჭიაბერაშვილი, ვერც ნაინტილიგენტარი ბერძენიშვილი, ვერც ნაჟურნალისტარი ელისაშვილი... არაფერს ვამბობ პარლამენტის მაგიდებზე წივილ-კივილით მორბენალ და კოლეგების თმებით დამთრევ „პოლიტიკოსებზე“, არც ჭიჭე-ხაბე-შალიკო-გირჩიზურიკოს „მასტის“ მავნე ცრუპენტელებზე – ამისთვის არც ჭკუა ეყოფათ, არც სინდისი და არც გამბედაობა.

როგორც ჩანს, ივანიშვილის სიტყვებმა კიდევ ერთხელ ღრმად შეაშფოთა და ქართველი ხალხის კიდევ ერთხელ დარიგება-დამუნათება გადააწყვეტინა თინა ბოკუჩავას და გირჩი ჯაფარიძის (ბოდიში, სოფო, ხაბე, შალიკო და მამუკა ხაზარაძე რომ გამოვტოვე!) მეგობარ მეთიუ მილერს:

„არ ვფიქრობ, რომ საქართველოს ბოდიში აქვს მოსახდელი რუსეთის შეჭრის გამო, ისევე, როგორც საქართველოს არ სჭირდება ბოდიშის მოხდა იმ ფაქტის გამო, რომ რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას“.

ანწუხელიძის მკვლელობის გამო ოსებს ბოდიში უნდა მოვუხადოთო? – გაჰკივიან ნაცოპოზიციის ახალი „უხმარი სახეები“. ოსებს კი არა, აგვისტოში ოსი სეპარატისტების მიერ 24 წლის სერჟანტ გიორგი ანწუხელიძის სადისტური მკვლელობის გამო, ბოდიში უნდა მოვუხადოთ ქართველი ჯარისკაცის დედას, მეუღლეს, შვილებს, მთელ საქართველოს. ბოდიში იმიტომ უნდა მოვუხადოთ, რომ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დღეს „ვივამედში“ მოკოტრიალე სააკაშვილის მეთაურობით, ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება ვერ მოახერხა. ღმერთმა ინებოს და, თუ საქმე შერიგებამდე მივა, ამ და სხვა სამხედრო დანაშაულების გამო ბოდიში ოსურმა მხარემ უნდა მოიხადოს, უშუალო შემსრულებლებმა კი კანონის წინაშე პასუხი აგონ.

მართალია, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას თვითონ არაფერი დაუშავებია, მაგრამ იგი არის დანაშაულის ჩამდენი ხელისუფლების სამართალმემკვიდრე. ასე ინება მისმა უდიდებულესობა ისტორიამ. ამიტომ სწორედ დღევანდელი ხელისუფლებაა ვალდებული, ქართველი ხალხის წინაშე ბოდიში მოიხადოს რუსეთთან ომის პროვოცირების, ტერიტორიების დაკარგვის, ასეულობით ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის, ნგრევის და განადგურების, ცხინვალზე – ქართულ ქალაქზე – ბომბების დაშენის, 150 სოფლის ქვების გროვად გამოცხადების, ოქრუაშვილის მიერ ერგნეთის გაზრობის განადგურების, უამრავი ოჯახის ტრაგედიის გამო...

ამ ისტორიამ ჩემი თაობის, ჩემი ოჯახის, პირადად ჩემს თავზე გადაიარა. კარგი იქნება, თუ ამას ახლანდელ და მომავალ თაობებსაც გავაგებინებთ. სხვანაირად, მართლაც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ტოლერანტული ქვეყნის მშენებლობაზე ოცნება მარადიულ ოცნებად დარჩება.

ორიოდე სევდიან ისტორიას გავიხსენებ.

იმ არეულ დროს თბილისში, გლდანის მასივში ერთი არაფრით გამორჩეული ოსური წარმოშობის უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ასე, 65 წლისანი იქნებოდნენ. ჩემს მეუღლესთან ერთად ვესტუმრე და ვცადე, ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლება გადაეფიქრებინათ. ძია ბაგრატას ერთხანს არაფერი უთქვამს. მერე ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ეზოში მისი ასაკის კაცები ნარდს თამაშობდნენ. კარგა ხანს უყურა. მერე შემობრუნდა და აკანკალებული ხმით მითხრა: – ამ ბიჭებს ხო ხედავ, – ერთ უბანში გავიზარდეთ, დღემდე ღვიძლი ძმებივით გვიცხოვრია. ორი დღის წინ, საღამოს, გვერდზე გამიყვანეს და მცემეს, ჩვენი მტერი და მოღალატე ყოფილხარო... ჩემმა ძმაკაცებმა მცემეს, მტერი და მოღალატე ხარო, კაცოოო... ისე მცემეს, მარჯვენა ყურში აღარაფერი მესმის... წასვლა არ მინდა, იქ ხო არავინა მყავს და არავის ვიცნობ. ესენი კიდე, ჩემი ძმაკაცები, წადიო, აქ აღარ დაგინახოთო...

ბაგრატა ძია მეუღლესთან ერთად მეორე დღეს ორჯონიკიძეში გაემგზავრა და ნახევარ წელიწადში გარდაიცვალა.

ოცდაათი წლის ულამაზესი წყვილი, ცირა და ბორისი, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად დიდუბეში ცხოვრობდნენ. რომ ვესტუმრე, ბარგი უკვე შეკრული ჰქონდათ. აუცილებლად უნდა წავიდეო, ბიჭებმა გამაფრთხილეს, თუ არ წახვალ, შენ და შენს ცოლ-შვილს ჩვენ ვერ დავიცავთო. ხვალ დილით მანქანა მომაკითხავს, ამ ოხერ ბარგს შევყრი და წავალ... მე ჯანდაბას, მაგრამ ცირამ და ბავშვებმა რა დააშავეს...

ვერაფერი ვუთხარი.

მეორე დღეს ცირამ დარეკა, წუხელ შეკრულ ბარგზე მჯდარ ბორიას გული გაუსკდაო. ტრაგედია ამით არ დამთავრებულა – თბილისის სასაფლაოს დირექტორმა ოსი წარმომავლობის თბილისელი ბიჭის დასაფლავებაზე სასტიკი უარი განაცხადა! მადლობა ღმერთს, იმ დირექტორთან არცთუ მამაშვილურ საუბარს ერთი უცნობი ქართველი ბიჭი შეესწრო – ამ სასაფლაოზე მამაჩემია დაკრძალული, 25 წლის წინ გარდაიცვალა. მოიყვანეთ ის საწყალი ბიჭი და მამაჩემს ზედ დავამარხოთ. მერე, ოდესმე გადაასვენებთ, ან დარჩეს აქა, მამაჩემიც მარტო აღარ იქნება. აბა, ვინმე წინ გადამიდგესო!

სამწუხაროდ, ასეთი და კიდევ უფრო ტრაგიკული ისტორიების გახსენება უსასრულოდ შეიძლება.

დიახ, პირველი ნაბიჯი აფხაზ და ოს ძმებთან შერიგებისკენ სწორედ ჩვენ უნდა გადავდგათ და მათთან საუბარი სწორედ მობოდიშებით უნდა დავიწყოთ. ამას მოითხოვს ელემენტარული ადამიანური დიპლომატია, ოჯახისშვილობა, სამშობლოს სიყვარული და მისი ხვალინდელი დღე. „ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის განცხადებაც, ასე რომ ააფორიაქა ჩვენი ფსევდოოპოზიცია, სწორედ ამაზე მიანიშნებს.

დიახ, „ქართულმა ოცნებამ“ ქართველი ხალხის თანადგომით 2012 წელს ქვეყანა გაათავისუფლა ნაცფაშისტებისაგან, მშვიდობიანად გადაიბარა ნაძირალა სააკაშვილის ხელისუფლება და ამით, უნდოდა თუ არა, მის მემკვიდრედ იქცა. ამიტომ იგი ვალდებულია, ბოდიში მოიხადოს წინა მთავრობის მიერ ჩადენილი უმსგავსობებისთვის ქართველი ხალხის წინაშე, რომლის ნაწილია ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები!

ვალდებულია!

ვალდებულია! ვალდებულია!

მაპატიეთ არაპორექტული შედარებისთვის – ჩემმა ძაღლმა მეზობლის ბავშვი რომ შეაშინოს, ამისთვის ბოდიში უნდა მოვიხადო მე და არა ჩემმა ძაღლმა.

მესმის, რომ ამის გაგება ძნელია ვაშაძის ან ნათელაშვილისთვის, მაგრამ არ მესმის, რატომ არის გაუგებარი რომან გოცირიძისნაირი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის. სწორედ მის გასაგონად ვამბობ – ბოდიში მომითხოვია და, მიმიფურთხებია იმ პოლიტიკისთვის, შენს პატივისმცემელ კაცს ამ სიტყვების თქმას რომ აიძულებს.

დაბოლოს, ჩემი ბოდიში „ქართულ ოცნებას“ და პირადად ბიძინა ივანიშვილს, რომ რამდენჯერმე საჯაროდ ეჯვი გამოვთქვი პარლამენტში მმართველი პარტიის საკონსტიტუციო უმრავლესობის აუცილებლობასა და ნაციონალური მოძრაობის გასამართლებაზე.

17. 09. 2024.

...ჩემმა ძაღლმა მეზობლის ბავშვი რომ შეაშინოს, ამისთვის ბოდიში უნდა მოვიხადო მე და არა ჩემმა ძაღლმა.

მესმის, რომ ამის გაგება ძნელია ვაშაძის ან ნათელაშვილისთვის, მაგრამ არ მესმის, რატომ არის გაუგებარი რომან გოცირიძისნაირი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის. სწორედ მის გასაგონად ვამბობ — ბოდიში მომითხოვია და, მიმიფურთხებია იმ პოლიტიკისთვის, შენს პატივისმცემელ კაცს ამ სიტყვების თქმას რომ აიძულებს.

გიორგი ახვლედიანი: ამერიკელების გათვლა მმართველ გუნდში დაპირისპირების და დაბნეულობის შეტანის მცდელობაა,

თუმცა „ოცნება“ ისე „გასუფთავდა“, ამის გაკეთება ძალიან რთულია

რა სახის პოლიტიკურ გავლენას მოახდენს ქვეყნის შიდა პროცესებზე ამერიკის მორიგი სანქციები და არის თუ არა ეს ოპოზიციის დახმარების მორიგი კამპანია? მმართველი გუნდის თქმით, ამერიკის ადმინისტრაციის მორიგი ქმედება, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობებს კიდევ უფრო აზიანებს, წინასაარჩევნოდ რადიკალური ოპოზიციისთვის გაწვდილი ხელია. ამის მიზანი კი საზოგადოებაში პანიკა და ნიჰილიზმის გაღვივებაა.

ამასთანავე არსებობს ეჭვი, რომ ამერიკის ადმინისტრაცია თავად მმართველ გუნდში და მის მხარდამჭერ ბიზნესმენებში დაპირისპირების შეტანას ცდილობს. დიდი ალბათობით, იმიტომ შეირჩა ორი ძალოვანი მაღალჩინოსანი, რომ შიში პოლიციურ ძალებშიც გაჩნდეს. ამის პარალელურად კი ამერიკის ადმინისტრაცია ამბობს, რომ კიდევ 60 ადამიანს დაუწესა სავიზო შეზღუდვები, თუმცა მათ ვინაობას კვლავ არ ასახელებს.

მხოლოდ ცნობილი ხდება, რომ ამერიკის სახაზინო დეპარტამენტმა საქართველოში ფუნდამენტური თავისუფლებების, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის ფინანსური სანქციები 4 პირს დაუწესა. მათ შორისაა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი მაღალჩინოსანი ზვიად ხარაზიშვილი, იგივე ხარება და მისი ერთ-ერთი მოადგილე მილერი ლაგაზაური. მათთან ერთად სანქცირებულია „ალტ-ინფოს“ 2 წევრი – კოპა მორგოშია და ზურა მახარაძე. ოთხივე მაგნიტსკის სიით დასანქცირდა, ადამიანის უფლებების დარღვევისთვის.

შეერთებული შტატები საქართველოსთან ურთიერთობების ყოვლისმომცველ გადახედვას განაგრძობს. ამ პროცესის ფარგლებში უკვე დაპაუზებულია მთავრობის 95 მილიონი დოლარის ფინანსური დახმარება, შეჩერებულია სხვადასხვა პროექტი, საერთაშორისო წვრთნები უვადოდ გადადებულია.

ახლა კი ჯერი ეროვნულ ბანკზეა, ნათია თურნავამ უნდა გადაწყვიტოს სანქცირებულ 4 ადამიანს დაუბლოკავს თუ არა ფინანსურ ანგარიშებზე წვდომას. პრემიერმა ირაკლი კობახიძემ ყველას საქართველოს კანონმდებლობით მოქმედებისკენ უკვე მოუწოდა.

ამერიკული სანქციების შემდეგ, ირაკლი კობახიძე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს რობინ დანიგანს პირველად შეხვდა.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ პრესრელიზში წერია, პრემიერ-მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გუშინდელი გადაწყვეტილების გამო, რომელიც საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის პოლიციელების მიმართ სანქციებისა და სავიზო შეზღუდვების დაწესებას ითვალისწინებს და მას „ოპოზიციის შანსების გაუმჯობესებაზე გათვლილი უწოდა“.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით მიღებული გადაწყვეტილება წინასაარჩევნოდ ოპოზიციის შანსების გაუმჯობესებაზეა გათვლილი, თუმცა ის სრულიად კონტრპროდუქტიულია, რადგან, სინამდვილეში, ვერც ოპოზიციის საარჩევნო შედეგს წაადგება და ვერც მმართველ გუნდს შეაშინებს“.

ამასთან, კობახიძემ აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებით ამერიკული მხარე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, რამაც, კიდევ ერთი მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მიმართ საქართველოს პოზიციის თვისებრივი გადახედვა განაპირობოს.



როგორც პრემიერმა განაცხადა, პირიქით, მმართველი გუნდი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით მიღებული გადაწყვეტილება კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოების მოტივაციას, 26 ოქტომბერს მტკიცედ დადგეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად.

მედია პოლიტიკის ექსპერტი **გიორგი ახვლედიანი for.ge**-სთან ამბობს, რომ ამ სანქციების მიზანი ცნობილია და ეს არავისთვის დასამალი აღარ არის. ახვლედიანის აზრით, ამერიკის ადმინისტრაცია „ნაციონალურ მოძრაობას“ ამით მხარდაჭერას უცხადებს და წინასაარჩევნოდ დახმარებას უწევს.

„ეს არის იმაზე გათვლილი, რომ ოპოზიციას მორიგი სალაპარაკო თემა ჰქონდეს. ეს არის იმ პროპაგანდის ნაწილი, რომლითაც რადიკალურ ოპოზიციას, უკვე არავისთვის აღარ არის გასაკვირი, ბაიდენის ადმინისტრაცია უწევს. ოპოზიციის რიტორიკას დააკვირდით, მოსახლეობაში თესავენ იმ აზრს, რომ თითქოს „ოცნება“ ქვეყანას იზოლაციაში აქცევს, აგერ, ამერიკამ ზურგი შეგვაქცია და ხალხო გამოფხიზლდით. ნუღარ მისცემთ ამ ხელისუფლებას ხმას და ა.შ.

რეალურად, გამორიცხულია საზოგადოებაზე ამ მიმართულებამ რაიმე ზემოქმედება მოახდინოს. წინა სანქციებმა რა პოლიტიკური რეალობა შექმნა? ხალხმა „ოცნების“ მხარდაჭერაზე უარი თქვა? ოპოზიციის რეიტინგი გაიზარდა თუ აქციები დაიწყო ამის გამო და ხალხი ქუჩაში გამოვიდა? არაფერი მსგავსი არ მომხდარა და ახლაც არ მოხდება. მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობა გაფუჭდა ისევ და ხალხს ამერიკის მიმართ კიდევ უფრო მეტი უნდობლობა აქვს. გაიზარდა მოტივაცია, რომ 26 ოქტომბერს ოპოზიციამ ვერ გაიმარჯვოს და ხელისუფლებაში ეს რადიკალური, მოღალატე ძალა არ დაბრუნდეს“, – ამბობს ახვლედიანი.

მისივე თქმით, ამერიკელების გათვლა ასევე მმართველ გუნდში დაპირისპირების და დაბნეულობის შეტანის მცდელობაა. თუმცა ახვლედიანი ამბობს, რომ უკვე დიდი ხანია „ოცნებიდან“ აგენტები და მოღალატეები წავიდნენ, ამიტომ ასეთი მყარი, როგორიც ახლა „ოცნებაა“ არსებობის მანძილზე არ ყოფილა.

„ე.ი. ამ 4 ადამიანის სახელების და გვარების თქმა შეიძლება, რომლებიც დაასანქცირეს, მაგრამ დანარჩენი 60 ადამიანის ვინაობის გამხელა თურმე არ შეიძლება. ამასაც თავისი მიზანი და გათვლა აქვს. ეს არის შანტაჟი და ადამიანის ემოციებზე მანიპულირება. ამით ცდილობენ „ოცნების“ მხარდამჭერებში, იქნებიან ესენი ბიზნესმენები თუ სხვა სფეროს წარმომადგენლები, შიში გააჩინონ. ვაითუ მე ვარ ამ 60 კაცში მოხვედრილი და ა.შ...

ამით თამაშობენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ვერც „ოცნების“ შიგნით ვერ შეიტანენ ვერანაირ განხეთქილებას.

შესაძლოა ამერიკაში მართლა ვიღაცას სჯერა, რომ ამით მმართველ გუნდში დაპირისპირებას გამოიწვევს. თუმცა 2020 წლის შემდეგ „ოცნება“ ისე დაიწურა, გასუფთავდა და ჩამოყალიბდა ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებულ ძალად, რომ დღეს ამის გაკეთება ძალიან რთულია. „ოცნებაში“ მანამდე მართლა იყო გრანტებზე გაზრდილი ჩუგოშვილების მსგავსი პოლიტიკური აქტორები. ეს ადამიანები მუდმივად ცდილობდნენ, რომ საკუთარი პატრონებისთვის ესიამოვნებინათ და არა ქართველი ხალხის პოზიციები დაეცვათ. ასეთი ხალხი წარსულს ჩაბარდა და ყველას ლუსტრაცია მოხდა. ამიტომ ტყუილად სჯერა ვინმეს ამერიკაში, რომ ამით „ოცნების“ შიგნით დაპირისპირებას შეიტანენ“, – ამბობს ახვლედიანი.

ლიკა ბერიკაშვილი

ომის ვეტერანებო, უმკურნალეთ თქვენს ნაომარ გულს!

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, ვეტერანებისთვის საქველმოქმედო-სამედიცინო აქცია გაიმართება

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, აკადემიკოს გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმები, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრთათვის, ერთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რიგით 168-ე საქველმოქმედო-სამედიცინო აქციას ჩაატარებენ.

აქცია მოიცავს კარდიოლოგიური პროფილის უფასო გამოკვლევებს (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია, ლაბორატორიული კვლევები).

ბენეფიციართა მიღება იწარმოებს 10:00 საათიდან; მისამართი: ქ.თბილისი; ნ.ჯავახიშვილის ქ. N 1; აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური.

პაციენტთა უსაფრთხოების მსოფლიო დღე

საქართველოში პაციენტთა უსაფრთხოების მსოფლიო დღე აღინიშნა. ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაზე, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. ასევე, ისაუბრეს პაციენტის უსაფრთხოების გაუმჯობესებაში, სწორი და დროული დიაგნოსტიკის მნიშვნელობაზე.

ღონისძიება ჯანდაცვის მინისტრმა გახსნა. მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, პაციენტთა უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელებისა და ჯანდაცვის სექტორის თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ, დარგობრივ ასოციაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, პაციენტის უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით, საკუთარი რეკომენდაციების გაზიარების ინიციატივით მიმართა. როგორც მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, სამინისტრო აქტიურად განიხილავს და დაამუშავებს, უშუალოდ ღონისძიებაზე, თუ მისი მზადების პროცესში, სექტორის მხრიდან მიღებულ წინადადებებს.

პაციენტთა უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის, შეხვედრაზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხედვები და მოსაზრებები წარადგინა ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის მრჩეველმა ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებით თომას რუბალმა.

პაციენტთა უსაფრთხოების მსოფლიო დღე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ, 2019 წელს დაარსა. მისი მიზანი პაციენტის უსაფრთხოების გაუმჯობესების ხელშეწყობა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი იუბილარია

- 85 -

2005 წლის 6 მაისს, წმინდა გიორგის დღესასწაულის დღეს, მშობლიურმა სკოლამ და საზოგადოება „ქუთაისელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გოგოლა მარგველაშვილს დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყო. საღამოს ესწრებოდნენ ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტებიც, რომელთა მისასალმებელ სიტყვებში გამოსჭვიოდა უდიდესი პატივისცემა ღვაწლმოსილი მეცნიერის მიმართ.

გამოვხატავთ რა ღრმა პატივისცემასა და გულითად სიყვარულს, ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, სსმმ აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ გოგოლა მარგველაშვილს 85 წლის საიუბილეო თარიღს და სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ფართო ერუდიციისა და კვლევის განსაკუთრებული უნარის მქონე შემოქმედმა, ეროვნული მეცნიერებისა და ახალი თაობის აღზრდისადმი უანგარო მსახურმა, სამშობლოს ღრმა მოსიყვარულემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გოგოლა მარგველაშვილმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა თავის შემოქმედებით აღსავსე ცხოვრებაში.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოგოლა მარგველაშვილი დაიბადა 1939 წლის 22 სექტემბერს ქუთაისში. 1957 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლა, ხოლო 1962 წელს – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია.

სამეცნიერო მოღვაწეობა გოგოლა მარგველაშვილმა 1963 წელს დაიწყო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იმერეთის საყრდენ პუნქტში. 1966-1969 წლებში სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში „აგროქიმიის“ სპეციალობით. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იმერეთის გაეწრებული ყვითელმიწა ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების ეფექტურობა ჩაის პლანტაციებში“, 1989 წელს კი მოსკოვში, კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიაში – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების ეფექტურობა ერთწლოვანი კულტურებისათვის“.

1971 წლიდან ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის გამგეა. 1978 წლიდან – მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტში მინერალური სასუქების განყოფილების გამგე, 1993-2005 წლებში – დირექტორის მოადგილე, ხოლო 2005-2006 – წლებში დირექტორი. 1990 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება; 1995 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 2010 წლიდან აღნიშნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანია.

2013 წლიდან აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი საქართველოში ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის დარგში ეროვნული კოორდინატორი და ექსპერტია.

ქალბატონმა გოგოლა მარგველაშვილმა არაერთხელ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესების და კონფერენციების მუშაობაში. იგი იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი.

2003-2007 წლებში ის თანამშრომლობდა მშრალი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრ **ICARDA**-თან, რომელიც ახორციელებდა პროექტს – „ნიადაგისა და წყლის რესურსების მართვა-წარმოების პირობებში, მდგრადი სასოფლო-სამეურნეო სისტემის შექმნისათვის შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში“.

პროფესორმა გოგოლა მარგველაშვილმა მონაწილეობა მიიღო: „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის მომზადებაში და შემდეგში, აღნიშნულ კანონში შესატანი ცვლილებების და დამატებების მომზადების პროცესში და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ კანონის მომზადებაში, მონაწილეობდა საქართველოში გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის მუშაობაში და საქართველოს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავებაში.

ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი პირველი ქართველი ქალია, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აგროქიმიის სპეციალობით და მიენიჭა პროფესორის წოდება.

მისმა სამეცნიერო ღვაწლმა აგროქიმიის ფუნდამენტური დებულებების განვითარებაში ასახვა პოვა წიგნში – **„აგროქიმიის ისტორია და მდგომარეობა 21-ე საუკუნის მიჯნაზე“.**

ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი ითვლება აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებში ფოსფორიანი სასუქების ეფექტური გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავების ქართული სამეცნიერო სკოლის ხელმძღვანელად. სწორედ ფოსფორის რეჟიმი, ფოსფორის თერმოდინამიკა, კინეტიკა და ბიოქიმია, შეტანილი ფოსფორიანი სასუქების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და ხარისხზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე, გარემო არეზე, ნიადაგში არსებული ფოსფატების დინამიკაზე, მიგრაციაზე, ტრანსფორმაციაზე, ფიქსაციაზე, ბალანსზე და სხვა იყო მისი კვლევის ძირითადი მიმართულებები. გ. მარგველაშვილის მიერ შესწავლილია პოლიფოსფატების აგროქიმიური თავისებურებანი, დადგენილია პოლიფოსფორმჟავაზე დამზადებული სასუქების უპირატესობა მარტივი სასუქების ნარევთან შედარებით, შემუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის ბალანსის გასაუმჯობესებლად საქართველოს მიწათმოქმედებაში.

ქალბატონ გოგოლა მარგველაშვილის კვლევის შედეგები ასახულია 160-მდე მეცნიერულ ნაშრომში. რომელთაგან აღსანიშნავია მის მიერ გამოქვეყნებული წიგნი **„აგროქიმიის პრაქტიკუმი“.** იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასწავლო სახელმძღვანელოს საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული აგრარული ფაკულტეტების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისთვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ სახელმძღვანელო წიგნი „აგროქიმიის პრაქტიკუმი“ აღიარა აგრარულ სფეროში 2023 წლის საუკეთესო ნაშრომად და მისი ავტორი, პროფესორი გოგოლა მარგველაშვილი დააჯილდოვა დიპლომითა და პრემიით.

პროფესორი გოგოლა მარგველაშვილი დიდ მზრუნველობას იჩენს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებისადმი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 17 საკანდიდატო და 4 სადოქტორო დისერტაცია.

წლების მანძილზე (1978-1986) იყო მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტთან არსებული საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული საბჭოს წევრი და სწავლული მდივანი, 1993-2007 წლებში კი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ამჟამად თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტთან. ხშირად არის სადისერტაციო ნაშრომების შემფასებელი და რეცენზენტი. აღსანიშნავია მისი თანამშრომლობა „საქართველოს ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგიასთან.

ქვეყნის ხელისუფლება, საქართველოს ინტელიგენცია, მისი მოწაფეები ღირსეულად აფასებენ პროფესორ გოგოლა მარგველაშვილის ღვაწლს. იგი დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ (1976), საპატიო ნიშნის ორდენით (1989), საქართველოს ღირსების ორდენით“ (2002); იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გოგოლა მარგველაშვილი აგროქიმიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს (2019).

აგრო, ბიო, ნანო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დიდოსტატი ავთანდილ კორახაშვილი – 75

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ავთანდილ კორახაშვილმა დიდი ხანია, მოიხვეჭა აღიარებული და გამოჩენილი მეცნიერის სახელი არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი მოღვაწეობა აგრარულ სექტორში აგრო, ბიო, ნანო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

ბატონი ავთანდილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მეცნიერულ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ საქმიანობასაც, რისი ნათელი დასტურიც 46 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობაა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ავთანდილ კორახაშვილს დაბადებიდან 75, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის – 50 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დღეს ამერიკას ნაღდად სხვა სახელი შეეფერება!

ამერიკაში ბედლოუს კუნძულზე აღმართული ქანდაკება — ახალი სამყაროს სიმბოლო

იზაბელა ბოიერი

2024 წლის 9-15 სექტემბრის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ბატონ რამაზ გურგენიძის წერილი „ვისი სახე აქვს თავისუფლების ქანდაკებას“. ბატონი რამაზი გვამცნობს, რომ ფრანგმა მოქანდაკემ ოგიუსტ ბარტოლდიმ 50-მეტრიანი სკულპტურა კუნძულ ბედლოუსზე ოფიციალური სახელწოდებით „თავისუფლება – მსოფლიოს განმანათლებელი“ 1886 წელს დაასრულა. იდეა მოქანდაკეს შთააგონაო ფრანგმა მოაზროვნემ და მწერალმა ედუარდ დე ლამბალუმ. ქანდაკება ახალი სამყაროს სიმბოლოდ იქცა.

როგორც წერილიდან ვგებულობთ, მოქანდაკე ბარტოლდს პარიზის ბოჰემურ წრეებში გაუცვნია ულამაზესი ჰერცოგინია იზაბელა ბოიერი და ის თავისი მომავალი ქანდაკების სიმბოლოდ დაუსახავს.

წერილში აღნიშნულია, რომ ჰერცოგინია იზაბელა ბოილერი რომელმაც შესანიშნავი კარიერა თავისი გარეგნობით და ორჯერ ბედნიერი გათხოვებით მოიწყო, დაქვრივდა და მესამედ გათხოვდა 1887 წელს. მესამედ გათხოვება მას „ბოროტმა ენებმა“ არ აპატიეს და „იზაბელას სკულპტურულ სახეს „ზნეობისა და მორალისაგან თავისუფლების ქანდაკება“ უწოდეს.

ქანდაკება სახელწოდებით „თავისუფლება – მსოფლიოს განმანათლებელი“, აღმართვიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ „ზნეობისა და მორალისაგან თავისუფლების“ ქანდაკებად გადაკეთდა, მხოლოდ იმის გამო რომ, იზაბელა ბოილერი გათხოვდა!

დაუჯერებელია!

რადგან ქანდაკება დაიდგა ამერიკის მიწაზე, „ზნეობისა და მორალისაგან თავისუფალი“ „ბოროტმა ენებმა“ ხომ არ უწოდეს ამერიკას? „ბოროტ ენებს“ და სხვებსაც ალბათ ახსოვდათ, რომ ამერიკა შექმნეს ევროპიდან გაქცეულმა ოქროსა და სიმდიდრის მაძიებელმა ნაციხარმა და „ნახიშტარმა“ ადამიანებმა, რომელმაც ადგილობრივი აბორიგენი ხალხი გაულიტეს, ხოლო გადარჩენილებმა ტყეს შეაფარეს თავი.

ოქროს და სიმდიდრის მაძიებლებმა მიიტაცეს და დაისაკუთრეს დიდი ოდენობის ნოყიერი მიწები, ტყის მასივები, ისინი ერთმანეთსაც სტაცებდნენ საქონელს, მიწის ნაკვეთებს, ხოლო მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ჩამოაყალიბეს, მრავალ სხვა სახელმწიფოსთან ომებში აღმოჩნდნენ ჩართული (ომი ინგლისთან 1812-1814, ომი მექსიკასთან 1844-1848 და სხვებთან).

როგორც ვხედავთ, ქანდაკების აღმართვამდე ამერიკა უკვე იყო ზნეობისა და მორალისაგან თავისუფალი, რაც ე.წ. ბოროტმა ენებმა სრულიად ობიექტურად აღიარეს.

განსაკუთრებით საშიში უზნეობა და აგრესიულობა გამოამჟღავნეს ამერიკელებმა, როცა მოინდომეს ატომური იარაღის გატანა კოსმოსში. ვარსკვლაური ომების საშიშროება დაემუქრა მსოფლიოს. რაც ამერიკას და მსოფლიოს გაუკეთა შევარდნაძემ, იმ მრისხანე პერიოდში, არ გაუკეთებია ამერიკელი პრეზიდენტების მრავალ თაობას. როგორ და რით გადაუხადეს ამერიკელებმა ბატონ ედუარდს, ყველამ კარგად დაინახა.

ამერიკელებს განუდგნენ თვით ევროპელებიც, როცა შემოიღეს ევრო. ამით ევროპას სურს განდევნოს ამერიკული დოლარი თავისი ბაზრებიდან. განრისხებულმა ამერიკამ აიძულა ევროპის ქვეყნები, ჩაბმულიყვნენ ომებში ერაყის, ლიბანის, ავღანეთის წინააღმდეგ, ხოლო უკრაინის მიწაზე გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტა ამერიკული დემოკრატიის რეალური სახეა.

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ უკრაინაში ომი დიდი ალბათობით შეიძლება გადაიზარდოს ომად ატომური იარაღის გამოყენებით.

ამერიკელი პოლიტიკური ელიტა ამ გაფრთხილებას ყურადაც არ იღებს.

კუნძულ ბედლოუზე აღმართულ ზნეობისა და მორალისაგან თავისუფლების ქანდაკებას ახალი სამყაროს სიმბოლო რომ ჰქვია, „უკვე ვადაგასულია“.

დღეს აშშ-ს, მისი პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვა სახელი შეეფერება!!!

ნუგზარ კობახიძე
ტ. 593 74 82 53

არტემ დმიტრუკი: მოგმართავთ ქართველებს, დღეს თქვენი ეშინიათ, რადგან დაამტკიცეთ, რომ შეიძლება იცხოვრო ღირსეულად და თან თავად მართოთ პროცესები!

ზელენსკის პარტიის „ხალხის მსახურის“ ყოფილი წევრის არტემ დმიტრუკის თქმით, ქართველებს, ისევე როგორც უკრაინელ ახალგაზრდებს, წლების განმავლობაში შთააგონებდნენ, რომ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე არ იქნებოდა არც წარმატება და არც მომავალი, რაც სიცრუეა.

„დღეს ქართველ ერს კვლავ ემუქრებიან ახალი მაიდნით, რევოლუციებით, გადატრიალებებით. მათ არ აინტერესებთ ქართველების აზრი, რომლებსაც უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი არჩევნებზე. სულ ერთი და იმავე კლასიკური სცენარია, რომელიც მათ წარმატებით განახორციელეს უკრაინაში. მოგმართავთ ქართველებს, დღეს თქვენი ეშინიათ, რადგან თქვენ დაამტკიცეთ, რომ შეიძლება იცხოვრო ღირსეულად და თან თავად მართოთ პროცესები. თქვენ, ისევე როგორც ჩვენ უკრაინელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს წლების განმავლობაში შთაგვაგონებდნენ, რომ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე არ იქნებოდა არც წარმატება და არც მომავალი, მაგრამ უკვე ხედავთ, რომ ეს ტყუილია“!..

დმიტრუკის განცხადებით, ერთმა არასწორმა ნაბიჯმა ქვეყანა შეიძლება ომამდე მიიყვანოს.

„საქართველო ძლიერი, დამოუკიდებელი, მართლმადიდებელი ქვეყანაა, თქვენ გაქვთ ყველაფერი, რომ იაროთ წინ, ძლიერი ეკონომიკით, თავისუფალი საზოგადოებითა და რაც მთავარია მშვიდობით. ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შეიძლება მოიტანოს კატასტროფა, 1 ნაბიჯია მაიდნამდე და შემდეგ უკვე ომია“, – აცხადებს უკრაინელი დეპუტატი.

ზელენსკის ყოფილი თანაპარტიელი საკუთარ მიმართვაში აცხადებს, რომ უკრაინაში ომისგან თავის არიდების გზები არსებობდა, თუმცა ისინი არავინ გამოიყენა.

„ყველა თქვენგანი კარგად ვერ ხედავს, რა ხდება უკრაინაში ბოლო წლებში, მაგრამ იცოდეთ მთავარი – ომი ეს არის ყველაზე საშინელი რამ რაც შეიძლება მოხდეს. ეს არის მწუხარება, შიში და ტანჯვა. მე უკრაინელი ვარ და ვცხოვრობ ომში, ჩემი მეგობრები, ახლობლები და 30 მილიონზე მეტი უკრაინელი ცხოვრობს ომში, რომლებმაც დაკარგეს ყველაზე ღირებული – მშვიდობა. ბევრი ადამიანი, ვისაც ვიცნობდი, უკვე აღარაა ცოცხალი. ყველა უკრაინულ ოჯახში არის დაღუპული ან დაჭრილი, თქვენ გვეკითხებით, შეგვეძლო, ამ საშინელებას გავქცეოდით? დიახ, მეტსაც ვიტყვით, ასეთი შანსები რამდენიმე იყო სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წლებში და უკვე ომის მიმდინარეობის დროსაც კი. თუმცა ისინი არავინ გამოიყენა. ომმა ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაიშალა ახალგაზრდობა, განადგურდა ოჯახები, ერი ჩვენს თვალწინ იხოცება, დავკარგეთ მამაკაცების თაობა და ყოველდღიურად ვკარგავთ ქვეყანას. შემოგვხედეთ ჩვენ და გამეცით კითხვაზე პასუხი, მზად ხართ, ასეთი ფასი გადაიხადოთ სიღარიბისა და განადგურებისთვის, რადგან სწორედ ეს ელოდება უკრაინას და ზუსტად ეს შეიძლება გელოდებოდეთ თქვენ“.

არტემ დმიტრუკი 26 ოქტომბრის არჩევნებში ქართველებს მშვიდობისა და კეთილდღეობის სასარგებლო, სწორი არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებს.

„თუკი ქართველი ერი მიიღებს ომს, მათ უნდა იცოდნენ ერთი – შეიძლება სამუდამოდ დაკარგოთ თავისუფლება. საქართველო დიქტატურის წინაშე უკვე აღმოჩნდა, როდესაც ხალხს იტაცებდნენ და აწამებდნენ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. ისტორია შეიძლება განმეორდეს, თუკი ისევ დაუშვებთ მსგავსს შეცდომას – უკრაინა ამის კარგი მაგალითია.

„ომის დაწყებისთანავე ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა ავტორიტარული რეჟიმის ხაფანგში. ათასობით უდანაშაულო ადამიანი რეჟიმისგან განსხვავებული აზრის ქონის გამო აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. რამდენი ადამიანი გაიტაცეს, სცემეს, მოკლეს სპეცსამსახურების სარდაფებში. ჟურნალისტები, სასულიერო პირები, უფლებადამცველები, რომლებიც იდევნებიან... ეს შეიძლება მოხდეს საქართველოშიც, თუკი გაიმარჯვებს ომის პარტია. რა შეთანხმებებსაც არ უნდა მოეწეროს ხელი, რა სწრაფადაც არ უნდა შეაჩეროთ ტანკები და თვითმფრინავები, ადამიანებს მაინც ვეღარ დააბრუნებთ. გააკეთეთ სწორი არჩევანი, არჩევანი სიკეთის სასარგებლოდ. იქ, სადაც მშვიდობაა, ყოველთვის იქნება კეთილდღეობა, სტაბილურობა და თავისუფლება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“!..

SOS!
არადა, კალენდარზე 2024 წელია!

ქართველი ერის დემოგრაფიული პრობლემების დიდი ჭირისუფალი

ცნობილ მეცნიერს, დემოგრაფს ანზორ თოთაძეს დღეს 85 წელი შეუსრულდა. იგი 60 წელია, დაუღალავად იკვლევს ეკონომიკისა და სოციოლოგიის პრობლემებს, მაგრამ განსაკუთრებული აღიარება დემოგრაფიულ პრობლემებზე შექმნილმა ნაშრომმა მოუტანა. მას გამოქვეყნებული აქვს 50-მდე მონოგრაფია, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ასობით პუბლიცისტური წერილი ქართულ პრესაში. ამ ეროვნულ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერმა, განათლების სფეროს განვითარების დიდმა ორგანიზატორმა, ბატონმა ვახტანგ წივწივაძემ.

ანზორ ბაგრატის ძე თოთაძე დაიბადა 1939 წელს ქ. ზესტაფონში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მიიღო უმაღლესი განათლება ეკონომისტის სპეციალობით. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წლების განმავლობაში ეწევა სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამჟამად მუშაობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორად.

ანზორ თოთაძის გამოკვლევებს დიდი რეზონანსი აქვთ, ზოგიერთი მათგანი გამოცემულია ინგლისურ და რუსულ ენებზე ნიუ იორკში, ლონდონში, მოსკოვში, პეტერბურგსა და ბაქოში. მისი მონოგრაფია „აფხაზეთის მოსახლეობა. ოსები საქართველოში“, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, გავრცელდა (რუსულ და ინგლისურ ენებზე) ჰააგის კონფლიქტოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ჟენევაში გაეროს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებებზე და ევროსაბჭოს „დემოკრატთა სამართლის მეშვეობით“ კომისიის წევრთათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეცნიერის პუბლიცისტური წერილები, იგი ლიტერატურულ-ისტორიული წყაროების, მდიდარი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პუბლიცისტური ოსტატობით წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ისტორიულ და თანამედროვე პრობლემებს, განგაშს ტეხს ქართველი ერის გამრავლების მძიმე ვითარების გამო, რამაც თავი იჩინა უკანასკნელ წლებში, ასევე აღსანიშნავია მისი წერილები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე, ეროვნულ ღირებულებებზე.

აღსანიშნავია ბატონ ანზორ თოთაძის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა. ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თეორიული ეკონომიკის, სტატისტიკისა და დემოგრაფიის დისციპლინებში. იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი. კერძოდ, არჩეული იყო აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად, რომელიც ხარისხებს ანიჭებს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტოლოგიაში.

იგი არის უცხოეთსა და საქართველოში გამომავალი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, იყო გაზეთ „სტუდენტური პარალელებისა“ და ჟურნალ „კომერსანტის“ მთავარი რედაქტორი, გაზეთ „საქართველოს დემოგრაფიის“ დამფუძნებელი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნესა და ჟურნალ „დემოგრაფის“ მთავარი რედაქტორი, არის „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების“ ფონდისა და დემოგრაფიული განვითარების ფონდის დამფუძნებელი. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ანზორ სახვაძე,
პროფესორი, დემოგრაფი;
მერაბ ხმალაძე,
პროფესორი, დემოგრაფი.

აქვე გთავაზობთ იუბილარი მეცნიერის ლექსად აკინძულ ტკივილებს.

მოეშვით ქართულ სულიერ ტაძარს!

მინაწერი პოეტ რეზო ამაშუკელის ლექსზე

დრო მიდის, მალე წავიღებ წერილს,
როგორც იტყვიან, მარილზე გავალ,
ვერვინ შეამჩნევს ჩემს ბოლო
წერტილს,
ცხოვრება ისევ თავის გზით წავა.

ისევ მოგვნახა უკურნებელმა
სენმა, რომელიც თავს არ გვანებებს,
აღარც ერთმანეთს და არც ქვეყანას
არ ვასვენებდით და არც ვასვენებთ.

ჭკუანაღრძობი და შარლატანი,
ისევე ცდილობს ხალხის დამოძღვრას,
უნდილი აზრის რქებით გამტანი.
არ იცვლის თავის მამაძაღლობას.

ტელევიზია, ისეც ნაკლული,
უგვანოებით აჭრელებულა,
ცვედანს რად უნდა შენი „ჩაკრულო“
ან კიდევ შენი „ხასანბეგურა“.

ჩვენი სიცოცხლის ბინდისფერ გზაზე,
რა უკუნეთი ღამე დამდგარა,
ჩია კაცების გაგუდულ ხმაზე
სურთ, რომ გვაცეკვონ ნიფხვის ამარა.

ჩამოსხდებიან ყორნები ეკრანს,
გაბმულად ისმის მათი ჩხავილი,
აზრის სიმწირე, თემა იგივე,
ატეხილი აქვთ ენის ქავილი.
მაგრამ ვინ მოგცათ უფლება იმის,
ის, რაც აქამდე მოგვიტანია,
ფასად წინაპართ დაღვრილი სისხლის,
ასე გვიბილწავთ, დიდი ხანია.

ან რატომ ფიქრობთ, რომ გამკითხველი,
აღარ გყავთ, თქვენი არის ქვეყანა,
რომ აღარ დარჩა დღეს წამკითხველი
დიდ რუსთაველსა და სულხან-საბას.

საბედისწეროს მოეშვით თამაშს,
ყოფნა-არყოფნის ისეც დგას ჟამი.
მოეშვით ქართულ სულიერ ტაძარს
გადამთიელის გვეყოფა შხამიც.

2009 წელი

დღეები მიჰქრის...

ორ ზღვას შუას ვიღა ჩივის
ზღვის ნაპირიც აღარ გვრჩება,
ზემოთ რუსმა ჩამოგვაჭრა,
ქვემოთ თურქი გვექაჩება...

2012

* * *

სიტყვა ნაღდი მაქვს,
თანაც სამშობლოს სიყვარული
– უკიდეგანო,
რას დავემსგავსეთ, თავს ვეღარა ვცნობთ,
გავხდით ბოგანო.
ცრემლები მახრჩობს, როცა ვხედავ ამდენ
უგვანოს!

2012

* * *

ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს
აიბურდა ყველაფერი
გვეშველება? გვეშველება,
პატრონია შესაცვლელი.

2012

* * *

დღეები მიჰქრის, კი არ მიდიან...
და ემატება წელს კიდევ წელი.
ვნებები ცხრება, სანთელი ქრება,
საინტერესოს აღარას ველი...

2024 წლის
20 სექტემბერი

მონანიების ლოცვა

გალაკტიონის ლექსზე „წმ. გიორგი“

ვუძღვნი მეგობრის – ბეგო ბექუაშვილის ხსოვნას



გალაკტიონის შემოქმედების პირველი პერიოდი, ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, ხასიათდება პოეტის რელიგიურობით. მაგრამ ეს რელიგიურობა უარყოფით ნიშანს ატარებს. ვგულისხმობ იმ მღელვარებას, რასაც პოეტში იწვევს ლუციფერი, რომელიც მის სულში „ავობით მძვინვარებს“, ან, როდესაც ივი გაიძახის – „წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი!“...

პოეტში ჩაბუდებულმა ამ უარყოფითმა ძალამ მის სიცოცხლეში საბოლოოდ გაიმარჯვა, რაც გამოიხატა მის მაქებარ ლექსებში იმ რეჟიმისადმი, რომელმაც შეყვარებული გადაუსახლა, რომელსაც სულმოკლეობის გამო ვერ გაჰყვა და, რომელმაც ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულებინა. მართალია, ყველა ეს ნათქვამი რაღაც გარეგანი, ზედაპირული მიზეზია თვითმკვლელობისა... სუიციდისადმი მიდრეკილება წინასწარვე ჩასახულია პიროვნებაში, როგორც ამას გვიმტკიცებენ, ერთი მხრივ, პოეტი-ფილოსოფოსები და, მეორე მხრივ, ექიმი-ფსიქიატრები. მაგრამ თვით მაშინაც, როდესაც თვითმკვლელობას სჩადის მშვენიერი შუშანი მე-8 საუკუნეში, რათა თვითმკვლელობით გაექცეს წარმართ ხაკანთან ქორწინებას, დიახ, თვით მაშინაც ეს ქრისტიანობისათვის მიუღებელია და ცოდვას წარმოადგენს.

ამ დემონებისა და ლუციფერის საწინააღმდეგოდ აღმართულა გალაკტიონის ლექსი „წმ. გიორგი“.

„ლურჯ ზღაპარივით ხავსი ფარავს დაწეწილ წისქვილს,
წყალი იმტვრევა გადაკეცილ ბროლის რკალებად
და სინათლეში სილამაზით სავსე ალები
კოჭამდე თმებით შადრევანზე აირევიან –
არის კივილი, მღელვარება, ცეკვა, სიცილი
ასიათასი და მრავალი ათასი ალის.
ამაოდ შიშით შეიშლება გვიანი სული.
აღფრთოვანება – გაგიუების ხმა არ შეწყდება –
სანამდე რაშით არ წამოვა წმინდა გიორგი!“

აქ ჩვენს წინაშე პოეტის მიერ შექმნილი მშვენიერი სურათია: ერთი მხრივ, ბოროტი სულების, მშვენიერი ალების სახით, რომლებსაც თმები „კოჭამდე“ ჩამოსდით (**„კახეთში „ქაჯი“ მამაკაცად, „ალი“ კი ქართლშიც და კახეთშიც ქალად მიაჩნიათ. მას მშვენიერი გრძელი გაშლილი თმები აქვს და კაცს სილამაზითა ჰხიბლავს“** – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ.: 1960, გვ. 96) და, მეორე მხრივ, წმ. გიორგი რაშით, როგორც გამოსახულება მიღმური სამყაროს წვდომისა. თუ ალებთან დაკავშირებით ბოროტების ესთეტიზაციაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, წმ. გიორგისთან კავშირში ეს მოხმობაა, როგორც ეს ხდება, მაგალითად, პირჯვრის გამოსახვისას, როდესაც დააყოლებენ: „უფალო, შენ დამიფარე!“ ამგვარად, გალაკტიონის ლექსი ღრმად რელიგიურია, თუკი ამ ლექსში შექმნილ სურათს განვიხილავთ არა რაღაც მხატვრულ სახედ, არამედ მისი პირდაპირი მნიშვნელობით. ამ მნიშვნელობის წყარო იდუმალებაა, საიდუმლოებით მოცული პირველსაწყისი, რომელსაც პოეტი აღწევს, ერთი მხრივ, პოეტური ინტუიციით, მეორე მხრივ, მასში ჩადებული მისტიკური წვდომის უნარით.

ღრმად რელიგიურია პოეტის შემდეგი ლექსიც:

„ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა
და ყვავილები გაიადონა.
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო
სულო, ჭაობზე უნოტიესო.
იდუმალია ჩვენი სერობა,
და ღამეების ალმაცერობა.
რომ ოცნებები ცეცხლით გალესო
სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო“.

აქ პოეტის ხილვასთან (**Vision**) გვაქვს საქმე, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და სიზმრეული განცდაა ღვთისმშობლის გამოცხადების, ზოგჯერ კი, ეს გამოცხადება ნათელი და ხელშესახებია (ისევე, როგორც იესო ქრისტესი და ანგელოზებისა), როგორც ეს ვიცით ბიბლიიდან და ქრისტიანობის ისტორიიდან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ჰალუცინაციები, რომლებსაც ადამიანში იწვევენ ეშმაკეული ძალები და რომელთა განდევნა ხდება ექსორციზმის მეშვეობით (**Esorcismo** – წესი, რომლითაც ღმრთის სახელს მოუხმობენ ადამიანის, ცხოველის ან რამე ადგილის დემონისაგან დასაცავად. იესომ შეასრულა ექსორციზმის წესი და იგივე დავალება მისცა თავის მოციქულებს (მარკ. 16:17). იხ.: **პიერო პეტროზილო,** ქრისტიანობის ლექსიკონი, თარგმანი იტალიურიდან, თბ.: 2011). შესაძლებელია, ეს ჰალუცინაციები პიროვნების ფსიქიკური აშლილობიდან მომდინარეობდეს, მაშინ აქ საჭიროა ექიმი-ფსიქიატრის ჩარევა.

ო, როგორ იტანჯება პოეტი, როდესაც ამბობს:

„შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო,
სულო, ჭაობზე უნოტიესო“.

ეს, ფაქტობრივად, მონანიების ლოცვაა. ჩვენც შევუერთდეთ მას.

ვიქტორ რცხილაძე

რუსეთის ხელისუფლება არაჟალი და ველური!..

პატრიოტული თამაშები „Зарница“ – „როგორ ამზადებენ არარაობები ომისთვის ბავშვებს“

ყოფილი პატიმრები და უკრაინის ომის მონაწილეები, რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ბავშვებს იარაღის ხმარებას, პატრიოტიზმსა და სამშობლოს დაცვას ასწავლიან.

რუსეთში ე.წ. სპეციალური სამხედრო ოპერაციის, სინამდვილეში კი უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის ვეტერანები მონაწილეობენ როგორც ქვეყნის მართვაში, ასევე ბავშვების "სამხედრო-პატრიოტულ" აღზრდაში, რომლის ფარგლებშიც ისინი ატარებენ მთავრობის მიერ ორგანიზებულ და მხარდაჭერილ გასამხედროებულ თამაშებს. რუსეთის საზოგადოება თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ამ ადამიანების დიდმა ნაწილმა წარსულში ჩაიდინა მძიმე დანაშაულები და, რაც მთავარია, ისინი მონაწილეობდნენ უკრაინის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ომში.

„ზარნიცა“ ყველა სკოლას მისწვდება

რუსეთში პროკრემლისტური საყმაწვილო მოძრაობის „პირველების“ ლიდერად სულ ახლახან უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის მონაწილე, მაიორი არტურ ორლოვი დანიშნეს. სწორედ ამ მოძრაობის ეგიდით მიმდინარეობს სრულიად რუსული საბავშვო პატრიოტული თამაში **„ზარნიცა.2.0“** (**Зарница** – ციალი, ნათება), რომელიც, როგორც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე და პუტინის რუსეთის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი სერგეი კირიენკო ამბობს, საიმედო დამცველებს უზრდის რუსეთს.

არტურ ორლოვი – 35 წლის მაიორი, სატანკო გატალიონის მეთაური. უკრაინაში რუსეთის შეჭრის მონაწილე. რუსეთის ფედერაციის გმირი. ასევე მიღებული აქვს სუვოროვის მედალი (2018), მამაცობის ორდენი (2022), ოქროს ვარსკვლავის მედალი. ორლოვი მონაწილეობდა 2016 წელს სირიაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციაში. იგი ასევე არის რუსეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრის სერგეი შოიგუს მიერ შექმნილი „სატანკო გიათლონის“ კონკურსის მონაწილე და გამარჯვებული.

რუსეთის ხელისუფლება სამხედრო-პატრიოტულ თამაშ „ზარნიცას“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ამაზე მეტყველებს თამაშის ორგანიზებასა და პოპულარიზებაში კირიენკოსა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების ინტენსიური ჩართულობა.

რუსული საინფორმაციო სააგენტო **TACC**-ის ცნობით, „ზარნიცა 2.0“-მა 2024 წელს მთელი რუსეთის მასშტაბით მოიცვა თითქმის 9 ათასი სკოლა და 800 ათასი მოსწავლე.

„ზარნიცა 2.0“ ე.წ. სამხედრო-პატრიოტული თამაშია, რომლის დროსაც მონაწილეები სწავლობენ საბაზისო სამხედრო მომზადების უნარებს და ექსტრემალურ სიტუაციებში ქცევას. გარდა ამისა, როგორც თამაშის აღწერაშია ნათქვამი, „ზარნიცაში“ მონაწილეობა ხელს უწყობს ლიდერობის უნარების, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების, პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართ შეგნებული დამოკიდებულებისა და აქტიური სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბებას. თამაშის მიზანი – მცირეწლოვან ბავშვებში პატრიოტული ცნობიერების ძლიერი საფუძვლის ჩაყრა და სამშობლოსა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ისტორიისადმი ინტერესის გაზრდაა. თამაშის ფარგლებში შეჯიბრებები მიმდინარეობს ვოლგოგრადის ოლქში, საზეიმო შეჯამებას კი ე.წ. რუსეთის მთავარი სიმაღლე „მამაის ყორღანი“ მასპინძლობს.

„ეს არის პირველი „ზარნიცა“, რომელიც თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა: განახლებულმა „ზარნიცამ“ უნდა მიაღწიოს ყველა სკოლას“, – განაცხადა კირიენკომ, რომლის თქმითაც, „ზარნიცა“ მხოლოდ თამაში არ არის, რადგან თამაშის მონაწილეებმა გაიარეს რამდენიმედღიანი დამატებითი ტრენინგი სამხედრო სპეციალობებში, მათ შორის – დრონის მართვის ოპერატორის კურსი. გუნდების აღჭურვილობა არაფრით ჩამოუვარდება სპეცდანიშნულების საუკეთესო დანაყოფების აღჭურვილობას, რადგან ბავშვები იყენებენ სადაზვერვო დრონებს, **FPV** – კამიკაძე-დრონებსა და დაზვერვის სხვა საშუალებებს. ვნახეთ, როგორ ახორციელებენ იერიშებს როგორც ხმელეთიდან, ასევე წყლიდან. სასწავლო პროგრამაში ასევე შედის დანაღმვა, განაღმვა, ტოპოგრაფია, ტაქტიკური სამედიცინო დახმარება და ა.შ.“, – ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო **TACC**-ს სერგეი კირიენკომ უთხრა 14 სექტემბერს, ვოლგოგრადის (ყოფილი სტალინგრადის) ოლქში გამართული საფინალო შეხვედრების დროს.

„ბავშვები, თამაშში მონაწილეობის პარალელურად, შეეხნენ ტრადიციებს, ეწვივნენ დიდი სამამულო ომის გმირების მემორიალს.“ ისინი შეეხნენ გმირი წინაპრების ხსოვნას. წინაპრებიც აუცილებლად იამაყებდნენ ამ ყმაწვილებითა და ფრონტზე მყოფი ბიჭებით“, – თქვა სერგეი კირიენკომ.

არტურ ორლოვი – 35 წლის მაიორი, სატანკო გატალიონის მეთაური. უკრაინაში რუსეთის შეჭრის მონაწილე. რუსეთის ფედერაციის გმირი. ასევე მიღებული აქვს სუვოროვის მედალი (2018), მამაცობის ორდენი (2022), ოქროს ვარსკვლავის მედალი. ორლოვი მონაწილეობდა 2016 წელს სირიაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციაში. იგი ასევე არის რუსეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრის სერგეი შოიგუს მიერ შექმნილი „სატანკო გიათლონის“ კონკურსის მონაწილე და გამარჯვებული.

„ზარნიცას“ საბჭოთა ფესვები

სამხედრო-პატრიოტული თამაში „ზარნიცა 2.0“, ისევე როგორც პუტინის რუსეთის გვერდი იდეოლოგიური საყრდენი, საბჭოთა კავშირის პირმშოა.

1967 წლის 10 იანვარს გაზეთმა „პიონერსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა სამხედრო სპორტულ თამაშ „ზარნიცას“ წესები და თამაშის პირველი მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის, არტილერიის მარშლის ვასილი კაზაკოვის N1 ბრძანება, რომლის მიხედვითაც, უნდა შექმნილიყო საყმაწვილო ბატალიონები ახალგაზრდებში ჯარის ცხოვრების უნარ-ჩვევების, სამშობლოს სიყვარულისა და საბრძოლო სულისკვეთების გამომუშავებისთვის. თამაშში მონაწილეობა შეეძლო მე-6-მე-8 კლასის ყველა მოსწავლეს.

თამაშის დროს პიონერები გუნდებად იყოფოდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობაში. თამაში იყო სსრკ-ში სკოლის მოსწავლეების საწყისი სამხედრო მომზადების სისტემის ნაწილი. ჩვეულებრივ, „ზარნიცას“ მონაწილეები იყოფოდნენ ორ გუნდად, მსაჯად და რამდენიმე შინ თამაშის მონაწილეს არ შეუძლია სირბილი, მხოლოდ სიარული. ყველაზე ხშირად, გამარჯვებული ვლინდებოდა დაგროვილი ქულების რაოდენობით: გუნდებს ქულები ენიჭებათ დროშების ხელში ჩაგდებისა და მოწინააღმდეგეთა განადგურების შესაბამისად (წესების დარღვევის გამო გუნდებს ქულები აკლდებათ). ზოგჯერ გამარჯვებულად ითვლებოდა გუნდი, რომელიც პირველი მოიპოვებდა მტრის დროშას.

ომის მონაწილისათვის სრულიად რუსეთის საყმაწვილო მოძრაობისა და სამხედრო-პატრიოტული თამაშების ჩაბარებამ დიდი ენთუზიაზმი აღძრა ომის მხარდამჭერებში.

„არტურ ორლოვი რუსეთის გმირია, მას ასევე მინიჭებული აქვს არაერთი სახელმწიფო ჯილდო, ანუ არის დამსახურებული ადამიანი, ტანკისტი. მისი გამოცდილება და განათლება იძლევა საგზაო რუკას, რომლითაც ახალგაზრდებს შეუძლიათ ორიენტირება, რათა ჩამოყალიბდნენ რუსეთის ფედერაციის ღირსეულ მოქალაქეებად და მოიპოვონ აღიარება საზოგადოებაში“, – დაწერა **Telegram**-ის არხზე რუსეთის პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის დირექტორმა ალექსეი მუხინმა.

ალექსანდრ აფანასიევმა კი სოციალურ ქსელ X-ში გააზიარა სამხედრო-პატრიოტული თამაშის ამსახველი ვიდეოსიუჟეტი, რომელსაც ტექსტიც დაურთო:

„მშვენიერია, როდესაც ახალგაზრდებს აქვთ ასეთი ინტერესები და არა ვიდეოები **TikTok**-ისთვის ან რამე ისეთი, რაც ყველაზე მოდურია ვარდისფერი თმების მქონე ყმაწვილებს შორის“.

თუმცა უკრაინაში მიმდინარე ომის გმირისთვის ბავშვების აღზრდის ჩაბარებამ ნეგატიური რეაქციაც გამოიწვია. სერგეი ხრომოვი, „ტინკოვ-ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტი, დარწმუნებულია, რომ „არარაობები ბავშვებს ომისთვის ამზადებენ. ამზადებენ და ძალიან აქტიურადაც“.

ანალიტიკოს ანატოლი ნესმიანის თქმით, რუსეთის ხელისუფლება არძაული და ველურია, რის გამოც არ შეუძლია მომავლის მშენებლობა თანამედროვე მიდგომებისა და ტენდენციების საფუძველზე, ამიტომ მუდმივად ცდილობს ძველი პრაქტიკის აღდგენას.

„ეს არის გერონტოკრატიული მმართველობის პროგლეგა, რომელსაც ძალაუფლების გარდა არაფერი აინტერესებს. ქვეყნის, საზოგადოების განვითარება – ეს ყველაფერი მათ საერთოდ არ ანაღვლებთ, მათი მიზანია „სტაგილურობის“, ფაქტობრივად კი ლეშის უსასრულო რევროდუციია. მათ ცალი ფეხი საფლავში აქვთ და მიაჩნიათ, რომ აბსოლუტურად სამართლიანი იქნება, თუკი ყველა დანარჩენს საფლავში გაიყოლეებენ. ანალოგიურად მსაელობდნენ წარსულის ლიდერებიც, რომლებსაც იმძვეყნად მიუყავდათ თავიანთი ცოლები, მონები, ცხენები და ა.შ. ამუამინდელებიც ცდილობენ, მთელი ქვეყანა საფლავში ნაიყვანონ, სხვა არანაირი მოტივი მათ არ აქვთ. რადგანაც არსებობს მოთხოვნა, გიუროკრატიული აპარატი საკმაოდ მორჩილად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. სწორედ აქედან მოდის იდეა „ახალი BAM“-ისა და ფსევდოახალგაზრდული სახელმწიფო სტრუქტურის სათავეში სამხედრო ჩექმის დაყენებისა, რომელიც თავის საქმიანობას დაუფუძნებს მწყობრში სიარულზე. კიდევ რის შეთავაზება შეუძლია ჯავშანმაიორსა და ერის სინდისს?“, – დაწერა ანატოლი სმენიანმა თავის Telegram-არხზე.

ანალიტიკოსის მოსაზრებას ირიგად ეხმიანება **The Moscow Times**-ის მიერ გავრცელებული ცნობა, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მთავრობაში მწიფდება მოსაზრება, რომ რუსეთის მოქალაქეებს ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა ადრეული ბავშვობიდან ასწავლონ.

„დაიწყო სპეციალური სამხედრო ოპერაცია და ყველამ გააცნობიერა, რომ საბრძოლო იარაღის და ზოგადად ცეცხლსასროლი იარაღის პოტენციალი მნიშვნელოვანია და, რომ მისი გამოყენება უნდა შეეძლოთ რუსეთის მოქალაქეებს. არ ვგულისხმობ მხოლოდ ყუთისთვის სროლას ან იარაღის დაშლა-აწყობას. საუბარია კულტურაზე, რომელიც უნდა დანერგოს. ეს კულტურა ადრეული ბავშვობიდან არის დასამკვიდრებელი“, – განაცხადა რუსეთის სამრეწველო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ კირილ ლისეგორსკიმ შეიარაღების მეორე რუსულ ფორუმზე.

მისივე თქმით, სკოლაში უნდა დაინერგოს სროლის გაკვეთილები, ბავშვებმა უნდა იმუშაონ სასწავლო ან ნამდვილი იარაღით, გავიდნენ პოლიგონებზე და ისროლონ საბრძოლო ვაზნები.

კირილ ლისოგორსკის თქმით, მნიშვნელოვანია სკოლების თანამშრომლობა როსგვარდიასთან, რომელიც პასუხისმგებელია საბრძოლო იარაღის შენახვასა და გაცემაზე.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

ფიტარეთის ფრესკები გადარჩენილია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ფიტარეთის მონასტრის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები დასრულდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ინფორმაციით, წელს გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები გრძელდებოდა მონასტრის სამხრეთ და დასავლეთ მკლავების მხატვრობაზე.

ტაძარში მსუბუქად ჩამოიწმინდა მხატვრობა, დაზიანებული ქიმები ახლით ჩანაცვლდა, ფერის ფენა გამაგრდა, ნალესობის ბზარები ამოიგოზა, სამხრეთ და დასავლეთ მკლავებზე შერჩენილი რამდენიმე კლამერი კორექტირდა.ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში არსებული ყაფლანისშვილ-ორბელიანთა საძვალიდან რამდენიმე საფლავის ქვას ჩაუტარდა კონსერვაცია.

სამუშაოებს ასრულებდნენ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კედლის მხატვრობის სპეციალისტები.

2023 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ფიტარეთის მონასტრის ინტერიერში ნალესობის ფენაზე გამოვლინდა არასტაბილური ტიპის განშრევებები, რის გამოც ნალესობა ჩამოცვივდა; ასევე, ცალკეულ მონაკვეთებში ფერწერული ფენა იყო აქერცლილი; ნალესობის ფენაზე გაჩნდა დიდი ზომის ბზარებიც; შესაბამისად, აუცილებელი გახდა სპეციალისტების დროული ჩარევა.

ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია აგებულია 1213-1222 წლებში, ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდში. ნაგებობის ფასადებზე არსებული დეკორი მაღალმხატვრული ოსტატობითაა შესრულებული. ტაძრის ინტერიერის კედლები მთლიანად დაფარულია გვიანი შუა საუკუნეების (XVII ს.) რეგისტრებად დაყოფილი მხატვრობით. შემონახულია ლაპიდარული წარწერებიც.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ფიტარეთის მონასტერი ბარათაშვილების კუთვნილება იყო. მონასტრის გამო დაწყებული დავა ყაფლან, პაატა და პაპუნა ბარათაშვილს შორის ყაფლანის სასარგებლოდ დასრულდა. შედეგად კი ფიტარეთის მონასტერში არსებულ საძვალეში ყაფლანის შთამომავლები ყაფლანისშვილ-ორბელიანები იმარხებოდნენ. ტაძრის ინტერიერში დაცულ რამდენიმე საფლავის ქვას ისტორიული მნიშვნელობის წარწერები აქვს. ფიტარეთის ლაპიდარული წარწერებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მოწითალო ფერის ქვა, რომელსაც ლამაზი ასომთავრული ხვეულით აწერია და, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ვარაუდობს, ეს სულხან-საბა ორბელიანის მამის, ვახტანგის, განსასვენებელი უნდა იყოს...

გორის ულამაზესი, ცენტრალური პარკი მწყობრშია!

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 12 ჰექტარზე გაშენებული ქალაქ გორის ცენტრალური პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დაასრულა. განახლებული პარკით უკვე სარგებლობენ ქალაქის მცხოვრებლები და მისი სტუმრები, – ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

პარკის ტერიტორია დაიყო სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციულ ზონებად. შეიქმნა ისეთი ახალი სივრცეები, რომელიც მეტად უფრო კომფორტულს ხდის პარკში დასვენებას და დროის გატარებას ახალგაზრდებისთვის, ბავშვებისა თუ მათი მშობლებისათვის.

– განახლებული პარკით გორს უკვე აქვს დიდი და საინტერესო რეკრეაციული სივრცე, რაც მნიშვნელოვანია ყველა ქალაქისთვის, – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ გორის ახლად რეაბილიტირებული ცენტრალური პარკის მონახულების შემდეგ.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა პარკში არსებულ ხელოვნურ ტბასა და 2 შადრევანს, შენობა-ნაგებობებს და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს; მოეწყო ახალი საფეხმავლო ბილიკები, ფანჩატურები, სივრცეები ღია კაფეებისთვის, სკეიტპარკი, ფამფტრეკი და საბავშვო ატრაქციონები.

პარკის გამწვანებისთვის, 46,793 კვმ ტერიტორიაზე დაირგო ბალახი, 237 ხე და 10,649 მცენარე, დამონტაჟდა საინჟინრო ქსელები კანალიზაციის, წყალმომარაგების და საირიგაციო ავტომატიზებული სისტემებისთვის. თანამედროვე პარკების ანალოგიურად, ტერიტორიაზე ცალკე მოეწყო ძაღლების სასეირნო სპეციალური სივრცე.

გორის ცენტრალური პარკის განახლებული ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის პირებისა და ბავშვის ეტლით მოსარგებლე მშობლებისთვის.

„შეიძლება ითქვას, რომ გორის ცენტრში განხორციელებულ ურბანული განახლების პროექტებთან ერთად, რეაბილიტირებული პარკი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ქალაქს მოსახლეობისა და ტურისტებისათვის. სწორედ ასეთი რეკრეაციული სივრცეები ქმნიან ახალ მიზიდულობის ცენტრებს, რომლის საუკეთესო მაგალითია გორის პარკის დასრულებული პროექტი," – აღნიშნა ირაკლი ქარსელაძე.

გორის პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები მსოფლიო ბანკისგან მიღებული სესხის ფარგლებში, 12.2 მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 6 ახალი, ევროპული სტანდარტების წყლის კალათა შეიძინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 6 ახალი, ევროპული სტანდარტების წყლის კალათა შეიძინა. ეს კალათები ეფექტურია და გამოიყენება ვერტმფრენით ტყის ხანძრის ქრობის სამუშაოებში.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა თემურ მღებრიშვილმა, განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე, ახალი სპეცტექნიკა პირადად დაათვალიერა და ადგილზე გაეცნო ტექნიკურ მახასიათებლებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურად განაგრძობს სპეციალური ტექნიკის განახლებას.

ფეხით სიარული თუ არ ვისწავლეთ, მუდამ საზრანსპორტო კოლაფსი გვექნება!

ზოგადად, მობილობა არის გაზრდილი. საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც ადამიანების რაოდენობაც გაზრდილია, თუმცა ამავდროულად, ავტომობილების რაოდენობა იზრდება. როგორც მერმა აღნიშნა, ყოველი მე-5 ადამიანი 1,5 კილომეტრის გადაადგილებისთვის ავტომობილს იყენებს, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია" – ამის შესახებ მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა განაცხადა.

მისი განცხადებით, დედაქალაქში ადამიანები დაახლოებით 700-800 მეტრის გასავლელად ავტომობილით გადაადგილდებიან, მაშინ როცა მათ შეუძლიათ, რომ ეს მარშრუტი ფეხით, საზოგადოებრივი, ან სხვა ტრანსპორტით – ველოსიპედით, „სქროლით" და ა.შ დაფარონ.

თუ კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულების კულტურა არ შეიცვლება, დედაქალაქში მუდმივად პრობლემები იქნება.

„ზოგადად, მობილობა არის გაზრდილი. საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც ადამიანების რაოდენობაც გაზრდილია, თუმცა ამავდროულად, ავტომობილების რაოდენობა იზრდება. როგორც მერმა აღნიშნა, ყოველი მე-5 ადამიანი 1,5 კილომეტრის გადაადგილებისთვის ავტომობილს იყენებს, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია. ადამიანები დაახლოებით 700-800 მეტრის გასავლელად ავტომობილით გადაადგილდებიან, მაშინ როცა მათ შეუძლიათ, რომ ეს მარშრუტი ფეხით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან სხვა ალტერნატიული ტრანსპორტით (ველოსიპედით, სქროლით და ა.შ) დაფარონ. ზოგადად, ქალაქში ავტომობილზე მაღალი დამოკიდებულება პრობლემაა. შესაბამისად, თუ ეს კულტურა არ შემცირდება, ჩვენ ეს პრობლემები მუდმივად გვექნება, მაგრამ ტენდენციები საკმაოდ კარგია, დადებითია" – განაცხადა წილოსანმა.

გარდა ამისა, წილოსანის განმარტებით, დღეის მდგომარეობით ქალაქში არსებობს ადგილები, სადაც არც ტროტუარია და არც საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის მოსახერხებელი ადგილები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის დროს საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილის უსაფრთხოება გათვალისწინებული იყოს:

„როდესაც ინფრასტრუქტურის განვითარება და განახლება ხდება, მუნიციპალიტეტმა მაქსიმალურად უნდა მოახერხოს მაგ დროისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ქვეითის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ალტერნატიული და ეკომეგობრული ტრანსპორტისთვის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გადაადგილების უზრუნველყოფა. შესაბამისად, თუ ჩვენ მაქსიმალურად შევძლებთ, რომ ეს ყველა კომპონენტი დავიცვათ და თქვენ იცით, რომ ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ჩვენ ამ კომპონენტებს ვიცავთ, მაგ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანებს მიეცემათ მეტი მოტივაცია იმისთვის, რომ გადაადგილდნენ, მათ შორის ფეხით, საზოგადოებრივი ან ეკომეგობრული ტრანსპორტით. მესმის, რომ წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, ეს ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, დღეის მდგომარეობით ქალაქში ძალიან ბევრი მსგავსი ტიპის პრობლემური ადგილები გვაქვს, სადაც არც ტროტუარია, ასევე, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის მოსახერხებელი ადგილებია. მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილ ზოლებს არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ იმას, რომ იმდენად ვიწროა ქუჩები, რომ ავტობუსებს გატარება უჭირთ და იძულებულები ვართ, რომ (აღნიშნულ ტერიტორიებზე) მიკროავტობუსები გადაადგილდებოდნენ, შემდეგ იმ მარშრუტებზე მიკროავტობუსების რაოდენობა არ ჰყოფნის და ამიტომ ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის დროს საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილის უსაფრთხოება გათვალისწინებული იყოს", – აღნიშნა წილოსანმა.

◎ ოვალური ბურთი

მესამედ — ლისაბონში

„შავი ლომი“ რაგბი ევროპის სუპერ თასის ტიტულის დაცვას ხვალ პორტუგალიაში, ლისაბონში განაგრძობს.

პორტუგალიური ფრენჩაიზის, „ლუზიტანუშისა“ და „შავი ლომის“ შეხვედრა **Estadio CAR Jamor**-ზე, რომელიც 37 593 მაყურებელს იტევს, საქართველოს დროით 21 საათზე დაიწყება.

წლევანდელ სეზონში გუნდებმა უკვე გამართეს თითო შეხვედრა და ორივემ ესპანური „იბერიანსი“ ბონუსით დაამარცხეს. „ლუზიტანუშმა“ მეტოქეს ლისაბონში 36:18 მოუგო, ხოლო „შავმა ლომმა“ ესპანეთში 54:3 გაილაღა. ამრიგად, 21 სექტემბერს გამარჯვებული პირველი წრის შემდეგ ერთ-პიროვნული ლიდერი გახდება.

გასული 3 წლის განმავლობაში „შავ ლომს“ პორტუგალიელებთან ორჯერ მოუწია თამაში. სუპერ თასის პირველ სეზონში, 2022 წლის 7 მაისს გუნდები ერთმანეთს ფინალში, ლისაბონში შეხვდნენ. დაძაბულ მატჩში „შავმა ლომმა“ „ლუზიტანუში“ 17:14 დაამარცხა და თასის მფლობელი გახდა.

პორტუგალიელებს შარშანაც ლისაბონში ვეთამაშეთ, ამჯერად ჯგუფურ ეტაპზე და 11 ნოემბერს 22:0 დავამარცხეთ.

21 სექტემბრის შემდეგ „შავ ლომს“ რაგბი ევროპის სუპერ თასზე კიდევ ორი საშინაო შეხვედრა ელის. 28 სექტემბერს თბილისში „იბერიანსი“, ხოლო 12 ოქტომბერს „ლუზიტანუში“ ეწვევა.

◎ ბრძენთა თამაში

შეკვეთრდით

გუდაკუბეში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მე-7 ტურში, საქართველოს ქალთა ნაკრები ტურნირის მთავარ ფავორიტთან, ინდოეთთან 1:3 დამარცხდა.

პარტიები ყაიმით დაასრულეს: ნანა ძაგნიძემ და ნინო გაციაშვილმა, ხოლო ლელა ჯავახიშვილმა და გელა ხოტენაშვილმა მარცხი განიცადეს.

7 ტურის შემდეგ ოლიმპიადას ყველა გამარჯვებით ინდოეთი ლიდერობს. ერთი ქულით ნაკლები აქვთ: პოლონეთს, ყაზახეთს და საფრანგეთს. საქართველოს ქალთა ნაკრები 11 ქულით V – XIV ადგილებს ინაწილებს. მომდევნო ტურში ჩვენების მეტოქე ბულგარეთის ქალთა გუნდი იქნება.

ოლიმპიადის მე-7 ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა, დაძაბული ბრძოლის შემდეგ, ყაიმით დაასრულა შეხვედრა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს საფრანგეთის გუნდთან.

ქართველებიდან ლუკა პაიჭაძემ მოიგო, ყაიმით დაასრულეს პარტიები: ლევან ფანცულაიამ და გაადურ ჯობავამ, ხოლო მიხეილ მჭედლიშვილი დამარცხდა მსოფლიო ტოპ-20 წარმომადგენელ, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავთან.

7 ტურის შემდეგ ვაჟთა ნაკრები 11 ქულით VII – XIII ადგილს ინაწილებს და მომდევნო ტურში მისი მეტოქე ნიდერლანდების გუნდი იქნება.

ვაჟთა ოლიმპიადას, ქალების მსგავსად, ყველა გამარჯვებით ინდოეთის ნაკრები ლიდერობს. ერთი ქულით ნაკლები აქვს ირანის გუნდს, რომელმაც ქულა მარტო ქართველებთან დაკარგა.

◎ ელიტაში

შემდგომში — ფიბა ევროპის თასზე

ევროტურნირში „ქუთაისი 2010“-ის დებიუტი შედგა. ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩში კოტე ტუღუშისა და კახა დარახველიძის გაწვრთნილი იმერული კლუბი სლოვაკეთის ჩემპიონ „ლევიცე პატრიოტის“ შეხვდა და 87:111 დამარცხდა. რაკი ეს გახლდათ ოლიმპიური სისტემით მიმდინარე ტურნირი, ქუთაისელები ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსს დაემშვიდობნენ და გადაინაცვლეს ფიბა-ევროპის თასზე, სადაც J ჯგუფში იქნებიან გერმანულ ტელეკომ ბონთან, ბულგარულ ბალკანთან და ბილბაო (ესპანეთი) – ნეპტუნასს (ლატვია) შორის გამარჯვებულთან. ფიბა-ევროპის თასზე ჯგუფური ეტაპის თამაშები 9 ოქტომბერს დაიწყება.

ქუთაისი ანტალიაში მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში იმ გუნდებს შორის მოხვდა, რომლებმაც გასულ სეზონში საკუთარ ქვეყანაში ჩემპიონობა მოიპოვეს. სწორედ ამიტომ, როგორც ჩემპიონები, საკვალიფიკაციოდან გავარდნილი გუნდები ფიბა-ევროპის თასზე ინაცვლებენ. საკუთრივ ამ ტურნირზეც დიდია კონკურენცია და თუკი საკმარისი რეიტინგი არ გაქვს, ტურნირში მოსახვედრად ცალკე საკვალიფიკაციო უნდა გაიარო. ქუთაისელებს ამ გზის გავლა აღარ მოუწევთ და როგორც ვთქვით, პირდაპირ ფიბა ევროპის თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, ქუთაისს მოგების შანსი ფაქტობრივად არ ჰქონია, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მეტოქე უსაშველოდ წინ არ გაუშვია. პირველი პერიოდის შემდეგ სლოვაკური გუნდი 9 ქულას იგებდა, დიდ შესვენებამდე კი ლიდერობა 13 ქულამდე გაზარდა. ბოლო პერიოდის წინ ლევიცე 16 ქულას იგებდა, მაგრამ ქუთაისელებს რესურსი არ ეყოთ თამაშის გადასარჩენად.

იმერულ კლუბში ორმა ლეგიონერმა ითამაშა – ელია ჯოინერი 23 ქულითა და 5 პასით საუკეთესო იყო, ჯოშ ფორტუნმა 17 ქულა დააგროვა, ქართველთაგან კი თავი ბექა ბექაურმა (12 ქულა), აკაკი დვალიშვილმა (12), გიორგი კორსანტიამ (11) და გიორგი სულაბერიძემ (10) გამოიჩინეს.

◎ დაბალი ღობე

საბაბი უპოვეს

სერბი ძიუდოისტი ნემანია მაიდოვი (90 კგ) ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 5-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

პარიზის ოლიმპიადაზე თეოდოროს ცელიდისთან მერვედფინალური შეხვედრის წინ, ტატამიზე გასვლისას მაიდოვმა პირჯვარი გადაიწერა, გარდა ამისა, შეხვედრის დასრულების შემდეგ მეტოქეს გამარჯვება არ მიულოცა, მას თავი არ დაუხარა, რაც ძიუდოში სავალდებულოა და ფედერაციის წინააღმდეგაც გაილაშქრა, რითაც დაარღვია ორგანიზაციის საერთაშორისო წესები. სერბი 5 თვით ჩამოაშორეს ყველა შეჯიბრებას.

აღსანიშნავია, რომ პირჯვრის ტატამიზე გადაწერისთვის მანამდე ორი გაფრთხილება ჰქონდა – 2018 წლის 10 აპრილს და 2022 წლის 24 თებერვალს. **IJF**-ს ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით ყველანაირი რელიგიური ჟესტი ტატამიზე აკრძალულია. მაიდოვი მესამე ძიუდოისტია ტარა ბაბულფატის (3 თვე) და გურამ თუშიშვილის (6 თვე) შემდეგ, რომელიც პარიზის ოლიმპიადაზე სხვადასხვა დარღვევისთვის დასაჯეს.

თავის მხრივ, 28 წლის სერბმა ძიუდოისტმა სოციალურ ქსელში ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც განაცხადა, რომ პირჯვრის გადაწერის გამო ბოდიშის მოხდას არ აპირებს და მტკიცედაა დარწმუნებული თავის გადაწყვეტილებაში. ის აცხადებს, რომ მისთვის რწმენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამაყად ამბობს, რომ პირად და კარიერულ ცხოვრებაშიც ღმერთმა ყველაფერი მისცა. ასე რომ, მაიდოვი დისკვალიფიკაციას მხოლოდ პირჯვრის გადაწერას უკავშირებს, თუმცა, როგორც ვთქვით, მას დისკვალიფიკაცია აგრეთვე, სხვა წესების დარღვევისთვის მისცეს. აღსანიშნავია, რომ ცელიდისთან შეხვედრის შემდეგ მაიდოვი მარცხში მსაჯებს და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას ღიად ადანაშაულებდა. მან მეტოქეს ბრძოლის შემდეგ თავი არ დაუხარა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

პირველი ნაბიჯი

ჩემპიონთა ლიგა განახლებული ფორმატითა და მარადიული დილემით გაიხსნა – რამდენად წაადგება ევროპულ საკლუბო ფეხბურთს ისედაც გადატვირთული სეზონის კიდევ უფრო დახუნძლული მატჩებით „დამძიმება“.

როგორც მოგეხსენებათ, უეფამ ელიტური ტურნირის მონაწილეთა რაოდენობა 32-დან 36-მდე გაზარდა და უარი თქვა ჯგუფური რაუნდის შეხვედრებზე, სიახლისა და საშინაო ბრძოლების გათვალისწინებით კი ბობოლებს მთელი წლის განმავლობაში დაახლოებით 70-80-ჯერ მოუწევთ თამაში, რაც, ბუნებრივია ადამიანის ორგანიზმისგან კოლოსალურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რესურსებს მოითხოვს.

მეორეს მხრივ, ნოვატორული გადაწყვეტილების ავტორები თავს მწვანე მინდვრის გლადიატორთათვის საკმაოდ მომატებული ანაზღაურებით იმართლებენ და აღნიშნულ ფაქტორს, მაგალითად, სატელევიზიო რეპორტაჟებიდან ზღაპრული მილიონების შემოდინებას უკავშირებენ.

ასეა თუ ისე, სანაკრებო ბატალიების შემდეგ ვარსკვლავთა არანაკლებ პრესტიჟული ფორუმის ჯერიც დადგა და ვიდრე მის ავ-კარგიანობას რეფორმის ჭრილში შევაფასებთ, სასტარტო შთაბეჭდილებებს გავეცნოთ.

უპირველესად, თვალში საცემია ის გარემოება, რომ გრანდთა უმეტესობას ჯერ არ აუკრეფია ოპტიმალური კონდიციები, თუმცა, მიუნხენის ბაიერნის სახით ადრეულ შემოდგომასაც ჰყავს იშვიათი გამონაკლისი, რადგან რეკორდმაისტერმა შინ ქვა ქვაზე არ დატოვა ზაგრების დინამოსგან – 9:2(!). ისიც სათქმელია, რომ მასპინძელთა ბომბარდირს კეინს პოკერის შესრულებაში მნიშვნელოვანწილად შეეშველა ესპანელი მსაჯი მარტინესი, რომელმაც ხორვატთა კარში ერთბაშად 3(!) პენალტი დანიშნა და ფავორიტს კიდევ 2 გოლი გაუუქმა.

პირველი ტურის ცენტრალურ ინგლისურ-იტალიურ ქიშპში პრემიერლიგას უპირატესობა სტუმრად ლივერპულის მიერ მილანის დაჩოქებამ მოუტანა – 3:1 0:1-ის შემდეგ, ამ ქვეყნების მეორე ტრადიციულ წყვილში კი სიტი და ინტერი არცთუ ისე საკადრისი სანახაობის შემდეგ დაზავდნენ – 0:0.

საკმაოდ გაუჭირდა მოქმედ ტრიუმფატორს, მაგრამ სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონის მაგიამ რეალს მაინც მოუპოვა დაგეგმილი 3 ქულა კერკეტ შტუტგარტთან – 3:1, პარი სენ-ჟერმენმა კი საკუთარ მინდორზე დებიუტანტ ჟირონას მეკარის ბავშვური შეცდომით გაიხარა – 1:0.

რაც შეეხება ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ქართველ ლეგიონერთა გუნდებს, ბოლო 20 წუთში გურამ კაშიას კაპიტნობით მოასპარეზე სლოვანი გლაზგოში სელტიკთან შერცხვა – 1:5, რეზერვში დარჩენილი ირაკლი აზაროვის შახტარი კი აპენინებზე ბომონდში 40 წლის შემდეგ დაბრუნებულ ბოლონიას დაუზავდა – 0:0, თანაც სუდაკოვმა პენალტი „გამაზა“.

ამავე დროს, გვაქვს სასიხარულო ინფორმაციაც, რადგან თბილისის დინამომ **ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგის** პირველ რაუნდში მიხეილ მესხის სტადიონზე 3:2 დაამარცხა მონტენეგროს ბუდუჩნოსტი და, ვიმედოვნებთ, საპასუხო მატჩს სასურველი შედეგით დაასრულებს.

პრისტალგეთ ერევანული ლიგა. გამოტოვებული შეხვედრა. ტორპედო – იბერია 2:1.

ფუტსალი. ამხანაგური მატჩი. ლიეტუვა (ევრო – 2025-ის მასპინძელი) – საქართველო 0:5.

კესარია აბრამიძის მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია!

ბრალდებული გუშინ ქუთაისის აეროპორტში დააკავეს. ის, სავარაუდოდ, ქვეყნის დატოვებას აპირებდა.

ტრანსგენდერი ქალის ახლო მეგობრის განმარტებით, ბექა ჯაიანმა შეყვარებულ ქალს თავად სთხოვა ფოტოების ატვირთვა, რადგან დაშორებულები იყვნენ და ამ მეთოდით ცდილობდა კესარია შეერიგებინა.

მეტიც, ირკვევა, რომ დაკავებული დაქორწინებას და ოჯახის შექმნასაც სთხოვდა ტრანსგენდერ ქალს.

მეგობარი ამბობს, რომ კესარია ისე იყო შეყვარებული 26 წლის ბიჭზე, რომ ახლობლების არაერთი რჩევის მიუხედავად, ბექა ჯაიანთან ურთიერთობას მაინც დასთანხმდა.

26 წლის ბექა ჯაიანს პოლიცია მთელი ქვეყნის მასშტაბით, 18 სექტემბრის 20:00 საათიდან ეძებდა. ის დიღმის წინასწარი მოთავსების იზოლატორშია, სადაც მთელი ღამის განმავლობაში იკითხებოდა.

დაკავებული ტრანსგენდერის ყოფილი მეგობარი მამაკაცია.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს დიდ დიღომში ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1987 წელს დაბადებულ კესარიას საკუთარ საცხოვრებელ სახლში ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

კესარია აბრამიძის ცხედარი ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული. წინასწარი ინფორმაციით, მას დანით 18-მდე ჭრილობა აქვს მიყენებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ და „დ“ პუნქტებით მიმდინარეობს, რაც გენდერის ნიშნით განსაკუთრებული სისასტიკით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

დედოფლისწყაროში ვენახში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს

დედოფლისწყაროში, სოფელ ქვემო ქედში, ერთ-ერთი ადგილობრივის კუთვნილ ვენახში, 38 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი მეგობრებთან ერთად, რთველში იმყოფებოდა და სახლში აღარ დაბრუნდა. ორდღიანი ძებნის შემდეგ კი, ახალგაზრდა კაცის ცხედარი საკუთარ ავტომობილში, იმავე ვენახში ნახეს, სადაც ის მანამდე მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა.

როგორც შსს-ში განაცხადეს, გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ჩვენს წყლებში, ტანკერი NAV DURGA დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, ინდოეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი „NAV DURGA“ დააკავეს.

ინფორმაციას საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

უწყების ცნობით, გემის კაპიტნის მიმართ, რომელიც ინდოეთის მოქალაქეა, სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საქმისწარმოება ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დაიწყეს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე 1-ელი პრიმა მუხლის 1-ელი პრიმა ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით.

„გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა – 50 000 ლარი. ჯარიმის გადახდის შემდეგ გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა“, – წერია ინფორმაციაში.

ხანძარი უშგულში

გვიან ღამით უშგულში კაფე-ბარი „ენგური“ მთლიანად დაიწვა.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განაცხადეს, ხანძარი ლიკვიდირებულია. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ბოლო დღეებში ეს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხანძრის უკვე მესამე შემთხვევაა.

პორტუგალიაში ხანძრის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა

პორტუგალიაში ხანძარს ებრძვიან, რომლის შედეგადაც, სულ მცირე, 7 ადამიანი, მათ შორის, 3 მეხანძრე დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციით, პორტუგალია ამ ეტაპზე 50-ზე მეტ აქტიურ ხანძრის კერას ებრძვის, სამაშველო სამუშაოებში 5 300-ზე მეტი მეხანძრეა ჩართული. პარალელურად კი ქვეყანა ევროკავშირისგან დახმარებას ელოდება.

სტიქიამ ყველაზე მეტად პორტუგალიის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში მდებარე რეგიონები დააზარალა.

ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დახურულია საავტომობილო გზები, მათ შორის, მთავარი მაგისტრალის ის მონაკვეთი, რომელიც ლისაბონსა და პორტუს აკავშირებს.

ხანძრის შედეგად განადგურებულია 62 000 ჰექტარზე მეტი მიწა, დამატებით 47 000 ჰექტარზე მეტი კი დაზიანებულია.

ამაზონის აუზში ზედიზედ მეორე წელია, რეკორდული გვალვაა!

ამაზონის აუზში რეკორდული გვალვაა, რამაც ტბებსა და მდინარეებში წყლის დონის ისტორიულ მინიმუმამდე დაწევა გამოიწვია.

Reuters-ის ცნობით, ზოგ ადგილას, სადაც აქამდე გემები ცურავდნენ, წყალი პრაქტიკულად დამშრალია. სპეციალისტების განცხადებით, მდინარე ამაზონის წყლის დონის დაწევა ზოგიერთი ტბის დაშრობის რისკს ქმნის.

„კრიტიკული წელი გვაქვს. კლიმატის ცვლილება უკვე აღარ არის საკითხი, რომელზეც მომავალში – 10 ან 20 წლის შემდეგ უნდა ვიფიქროთ. ის აქ არის და გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე გვეგონა“, – განაცხადა **Greenpeace**-ის წარმომადგენელმა რომულო ბატიშტამ.

გვალვამ, რომელიც რეგიონში ზედიზედ მეორე წელია ფიქსირდება, ბრაზილიის მცენარეების დიდი ნაწილი გაანადგურა და სამხრეთ ამერიკაში ტყის ხანძრები გამოიწვია.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ვივაცემენტის“ მიერ ქ. რუსთავში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 31 ოქტომბერი, 14:00 საათი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: კოსტავას ქ. N20)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 12 სექტემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი” 1100 მ³ ტევადობის გათხევადებული აირის საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 1 ნოემბერი, 12:00 საათი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა (მის: მოსკოვის გამზირი N14)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 12 სექტემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

დოკუმენტური ფილმი „წმინდა გრიგოლ ხანძთელი“



უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გადაღებული დოკუმენტურის ფილმის – „წმინდა გრიგოლ ხანძთელის“ წარდგენა გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ აზნაურაშვილი დაესწრო.

„გამორჩეული და მრავალმხრივი სასულიერო მოღვაწის ცხოვრების შესახებ დოკუმენტური ფილმის რეჟისორია კახა იმნაიშვილი. ფილმზე მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ არქიმანდრიტი ილია და თეოლოგი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე. აღსანიშნავია, რომ მაყურებელი ფილმში იხილავს ტაო-კლარჯეთისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიულ ფრაგმენტებს, მათ შორის დღემდე უცნობ კადრებს.

საქართველოს წმინდანთა დასში ღირს მამა გრიგოლ ხანძთელს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი და მის თანამოაზრეთა ღვაწლის შედეგია, რომ ტაო–კლარჯეთი აღორძინდა და ამით საფუძველი ჩაეყარა როგორც ამ მხარის, ისე მთელი საქართველოს სულიერ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას, ამასთან მომზადდა ნიადაგი ქვეყნის ერთიანობისათვის, დავით აღმაშენებლის საქართველოსთვის.

უდიდეს სულიერ მოღვაწეობასთან ერთად გრიგოლ ხანძთელი იყო საზოგადოებრივად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, რისი გამომხატველიცაა ქართველთა ერთობის შესანიშნავი ფორმულა, რომელიც არქიმანდრიტ გრიგოლისა და სხვა ხანძთელ მოღვაწეთა აღმწერელმა გიორგი მერჩულემ ასე გამოთქვა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხეგის, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულეგის“, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჯოვანი ვეფხვაძის პერსონალური გამოფენა

21 სექტემბერს ხელოვნების სასახლეში ჯოვანი ვეფხვაძის პერსონალური გამოფენა გაიხსნება. ხელოვნების სასახლის ინფორმაციით, გამოფენა მხატვრის 75 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართება.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ავტორის 30-ზე მეტი ფერწერული ნამუშევარი.

„ჯოვანი ვეფხვაძე წარმოადგენდა ვეფხვაძეების მხატვართა დინასტიის მესამე თაობას, რომლის შემოქმედება და ცხოვრება გაჯერებული იყო ძველი თბილისისა და იტალიის სიყვარულით.

1973 წლიდან იღებს მონაწილეობას როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში.

1981-2007 წლებში ჯოვანი ვეფხვაძე ასწავლიდა ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. მხატვრის ნამუშევრები დაცულია სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში: საქართველოში, გერმანიაში, რუსეთში, აშშ-ში, ინგლისში, სომხეთში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ინდოეთში, ჩინეთში და ა.შ.



ქართული ხელოვნების ისტორიაში დიდია ჯოვანი ვეფხვაძის წვლილი. მხატვარმა თავის შესანიშნავ, განუმეორებელი კოლორიტით გაჟღენთილ ტილოებში ბრწყინვალედ გადმოსცა ძველი თბილისის თავგადასავალი, დაგვანახვა წარსულის ხიბლი და ეპოქის მცხოვრებთა სულისკვეთება“, – აღნიშნულია ხელოვნების სასახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოფენა 29 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ქალწულისა მარიამისა (დიდუბობა)

21 სექტემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის შობას დღესასწაულობს.



...ცნობილია, რომ ძემ ღმრთისამ იმისათვის, რომ ადამიანის მოდგმა ეხსნა, ინება ადამიანური ბუნების მიღება და დედად ყოვლადწმიდა მარიამი გამოარჩია, რომელიც ერთადერთი იყო ადამიანთაგან, ვისაც ღმერთის დატევნა და სიწმინდის წყაროს განხორციელება შეეძლო.

საგულისხმოა, რომ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი დაიბადა გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში. მისი მშობლები, იოაკიმე და ანა, ღვთის მოშიშნი, უშვილონი იყვნენ... ასე მიაღწიეს ხანდაზმულ ასაკს, მაგრამ ჰქონდათ ღმრთის იმედი, რომ ის მათ უშვილობის მძიმე ტვირთისგან გაათავისუფლებდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ იოაკიმემ უდაბნოში მარხვით და ლოცვით, ხოლო ანამ ლოცვით და ტირილით – ტაძარში 40 დღე გაატარეს.

უფალმა მალე შეისმინა მათი ვედრება, მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა მართალ ანას, რომ დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა!

ღმერთმა უბოძა წმინდა ოჯახს ასული – იესო ქრისტეს მომავალი დედა!

გიული ლიპარტია

გამოვიდა ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველების“ მეხუთე ტომი



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცემის, ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველების“ მეხუთე ტომის წარდგენა გაიმართა.

წიგნი ვიქტორ ნოზაძის საზოგადოების მხარდაჭერით და გურამ შარაძის რედაქციით დაიბეჭდა.

„ჩემს ბავშვობაში ვიქტორ ნოზაძის წიგნები თვითგამოცემების სახით გამოდიოდა. მან და მისმა პლეადამ დიდი ენთუზიაზმით დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ სულ მალე მათ ემიგრაციაში მოუწიათ კულტურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაგრძელება. ამ თაობამ ანგარიშგასაწევი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა და მათ შორისაა ვიქტორ ნოზაძეც“, – განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

ღონისძიებაზე აუდიტორიას სიტყვით მიმართეს ვიქტორ ნოზაძის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ სიმონ ნოზაძემ, პროფესორმა ნესტან სულავამ და სხვებმა.

„გოა მშვიდობისა“ ბესო ხვედელიძის კარგი რომანი

19 სექტემბერს ბარ „აბრაგში“ ბესო ხვედელიძის რომანის – „გოა მშვიდობისა“ – პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი ავტორთან ერთად წარადგინა ქეთი ელიეშვილმა, შეხვედრას კი მუსიკალურად უძღვებოდა დიმა დადიანი.

მწერლის სიტყვებით, ეს არის გზამკვლევი ნეპალიდან გოამდე წამსვლელთათვის, ან უბრალოდ, სამოგზაურო რომანი.

„ეს რომანი, ჩემი აზრით, ნეპალური სერიის ყველაზე მნიშვნელოვანი და ესთეტიკურად სრულყოფილი ტექსტია. რთულია, განსაზღვრო ამ ტექსტის ჟანრი. ის ერთდროულად რომანიცაა, მოგზაურის ჩანაწერებიც, თვითშემეცნების ეგზისტენციალური ტრაქტატიც, ტურისტული გზამკვლევიც და მემუარებიც. ნებისმიერ შემთხვევაში ბესოსა და ალექსას ახალ თავგადასავალს მიყოლილი მკითხველი პირველ რიგში ნამდვილ ლიტერატურაში მოხვდება სამოგზაუროდ.“ – აღნიშნავს პროზაიკოსი და პრემია „საბას“ ლაურეატი დავით ქართველიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7136; ევრო - 3.0211;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5868;
100 რუბლი - 2.9547; თურქული ლირა - 0.0796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5956;
1000 სომხური დრამი - 7.0025.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 23 სექტემბერს